

სტამბოლის პონვენციის  
34-ე მუხლის  
(ადგვენა) სასამართლო  
პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
კვლევისა და ანალიზის ცენტრი  
თბილისი  
2019

**JUDICIAL PRACTICE  
ON ARTICLE 34  
(STALKING) OF THE ISTANBUL  
CONVENTION**

**THE SUPREME COURT OF GEORGIA**

The Research and Analysis Centre

Tbilisi  
2019



კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების  
კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ  
ავტორი და მთავარი რედაქტორი

### **მარინე კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ავტორები:

### **ნათია ჯულელი**

ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის  
მთავარი კონსულტანტი

### **ელენე ლვინჯილია**

ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის  
უფროსი კონსულტანტი

კვლევის შედგენაში მონაწილეობდნენ:

**ნათია შეყილაძე,  
გიორგი გამტკიცულაშვილი**

რედაქტორი

### **ნინო ძიძიგური**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,  
ფილოლოგის დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მალალაშვილი**



The Research was conducted by Research and  
Analysis Centre Analytical Department  
The Supreme Court of Georgia

AUTHOR AND CHIEF EDITOR

**Prof. Dr. Marina Kvachadze**

The Head of Analytical Department

AUTHORS:

**Natia Jugeli**

Chief Consultant of Research and Analysis Centre

**Elene Gvinjilia**

Senior Consultant of Research and Analysis Centre

IN THE RESEARCH PARTICIPATED:

**Natia Shekiladze**

**Giorgi Gamtkiculashvili**

EDITOR

**Dr. Nino Dzidziguri**

Consultant of the Supreme Court

TECHNICAL EDITOR

**Marika Maghalashvili**

## ნინამდებარე კვლევა

ნინამდებარე კვლევა მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) საქართველოში ძალაში შესვლამ განაპირობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების საჭიროება. კერძოდ, სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლმა – ადევნებამ ასახვა ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 151<sup>1</sup> მუხლში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნოვაციას.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ახალი საკანონმდებლო რეგულაციებისა და სტამბოლის კონვენციის კვალდაკვალ ადევნებასთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოების პრაქტიკის განვითარება. შესაბამისად, ნაშრომში მყითხველი ვრცლად გაცწინობა ადევნებასთან მიმართებით სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებს, სტამბოლის კონვენციის შესაბამის დებულებებს და საერთაშორისო სტანდარტების ასახვის პრაქტიკას საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებში.

კვლევაში წარმოდგენილია საერთო სასამართლოების „საუკეთესო პრაქტიკის“ მაგალითები და სტატიისტიკურ მონაცემთა ანალიზი. შესაბამისად, პოზიტიური მიგზებებისა და ტენდენციების გამოკვეთის ფონზე, აგრეთვე იდენტიფიცირებულია პრაქტიკაში გამოვლენილი შესაბამისი ხარვეზებიც.

ნინამდებარე კვლევა წარმოადგენს დამხმარე მასალას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის.

ვფიქრობთ, კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესიონ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილება მადლობას უხდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლია ყიფიანს განეული დახმარებისთვის.

გარიე კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი, სამართლის დოქტორი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესიონი

## **PREFACE**

This Research “Judicial Practice on article 34 (Stalking) of the Istanbul Convention” has been prepared within the Research and Analysis Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia.

The entry into force of the Council of Europe convention on Preventing and Combating violence against women and domestic violence in Georgia has necessitated legal amendments to the Criminal Code of Georgia. In particular, Article 34 of the Istanbul Convention has been reflected in the Article 151<sup>1</sup> of the Criminal Code of Georgia, which is an important innovation.

In view of the foregoing, the purpose of the study is to illustrate the development of common law practice in line with the new legislative regulations and the Istanbul Convention. Accordingly, the study provides the overview of the national laws of various countries and the relevant provisions of the Istanbul Convention. Apart from this, the research provides in-depth review of application of international standards in the national judicial practice.

Furthermore, the research shines a light on such cases, which illustrates great examples of the appropriate application of above-mentioned standards through quoting relevant excerpts from the judgments, giving a greater level of clarity to the necessity of their application in the particular case. In addition to this, the research includes the trends identified during the study process.

We consider that the research will be of particular interest not only for people working in the Judiciary but for the professors, students and other persons interested in human rights issues.

The Analytical Department of the Supreme Court of Georgia would like to express their sincere gratitude to the Head of the Legal Support of the Supreme Court of Georgia, Ms. Lia Kipiani for the provided help.

**Dr. MARINA KVACHADZE**

The Head of Analytical Department  
Professor of the Caucasus International University

## სარჩევი

<b>ადევნება, როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაული დანაშაული</b>	
ადევნება, როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაული სტამბოლის კონვენციისა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების მიხედვით .....	8
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა .....	20
<b>საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი ადევნების შესახებ</b>	
საერთო სასამართლოების პრაქტიკა	
საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიმართებით .....	30
საერთო სასამართლოების მიერ განხილული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია .....	51
სასჯელები .....	56
პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და	
დამამძიმებელი გარემოებები .....	65
ქმედების შემადგენლობა .....	68
დასკვნა .....	78

# ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული

ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი  
დანაშაული სფამპოლის კონვენციისა და  
საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების  
მიხედვით

„ადევნება“ წარმოიშვა ინგლისურენოვანი სივრციდან (Stalking) და ის კლასიკური კონტინენტურ-ევროპული წარმონაქმნია. თავად ინგლისური ტერმინი მონადირეთა ენაში გამოიყენებოდა და ჩასაფრებას ნიშნავს. ოუმცა, მოვინანებით, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა გახშირდა თაყვანის მცემლების მიერ ცნობილი პირების თვალთვალი და მანიაკალური გადაკიდება, მან სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო და ეტაპობრივად ჯერ ინგლისურენოვან, შემდეგ კი სხვა სივრცეებშიც სამართლებრივი დატვირთვა შეიძინა.<sup>1</sup>

ადევნება უძველესი ფენომენია, თუმცა, მისი კრიმინალიზაცია პირველად, 1990 წელს მოხდა ამერიკაში, კერძოდ, კალიფორნიაში, რასაც წინ უძლოდა ორ ცნობილ ამერიკელ მსახიობზე თაყვანის მცემელთა მხრიდან ფიზიკური თავდასხმის ფაქტი (კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის 646.9 მუხლი). კალიფორნიას მაღლე მიბაძა სხვა შტატებმაც. მოვიანებით კი, კალიფორნიის კანონმა უცხო ქვეყნის კანონმდებლებზეც იქმნია გავლენა და უბიძგა მათ ეროვნულ დონეზე მოეხდინათ ადევნების კრიმინალიზაცია. ამ ქვეყნებს შორის იყო ავსტრალია და კანადა.

ადევნების კრიმინალიზაცია ამერიკის მსგავსად, სწრაფი ტემპით არ მომხდარა ევროპის ქვეყნებში. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები სიფრთხილით მიუდგნენ ადევნების სისხლის-სამართლებრივი შემადგენლობა ცალკე გამოყოფთ კანონმდებლობაში, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ადევნება არ იყო მათი სო-

<sup>1</sup> ჯიშკარიანი ბ., ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის უურნალი, 2018, გვ. 45.

ციალური პრობლემა, შესაბამისად, არ იყო საჯარო ინტერესი ამგვარი რეგულირების მიმართ, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით უკვე დასჯადი იყო თავდასხმა, მუქარა ან/და იძულება. ევროპის ფარგლებში მოწინავე ქვეყნები იყვნენ ავსტრია, რომელმაც ადევნების კრიმინალიზაცია მოახდინა 2006 წელს და გერმანია, სადაც სისხლის სამართლის კოდექსში ადევნების შესახებ ჩანაწერი 2007 წელს გაკეთდა, რთული საკანონმდებლო პროცედურის გავლის შემდგომ. 2010 წლისთვის კი, უკვე ადევნება დასჯადი გახდა ევროკავშირის წევრ 13 ქვეყანაში. ოუმცა, ადევნების შესახებ საკანონმდებლო დებულებები განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით, განსაკუთრებით, ადევნების ტაქტიკის შეზღუდულ ჩამონათვალთან, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძვლებთან, სანქციებთან და დამნაშავის მხრიდან განზრახვის (mens rea) არსებობასთან დაკავშირებით.

ევროპაში ადევნების წინააღმდეგ კანონის შემოღებას მთავარი ბიძგი ევროპის საბჭოს მიერ 2013 წელს მიღებულმა კონვენციამ მისცა. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) პირველი საერთაშორისოსამართლებრივი აქტია, რომელიც მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარებს უზრუნველყონ ეროვნულ დონეზე ადევნების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა. კონვენცია ნათლად განმარტავს, რომ ადევნება არის ქალის მიმართ ძალადობის ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მონაცემები ამასთან მიმართებით არაერთგვაროვნია, კარგად არის ცნობილი, რომ ადევნების მსხვერპლი ძირითადად, ქალია, ხოლო დამნაშავე კი – მამაკაცი. ხშირად, ქალებზე ადევნება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ასრულებს მამაკაცთან. ამ ტიპის ძალადობა ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული, თუ იგი უკავშირდება მამაკაცის დომინანტობისა და კონტროლის სურვილს ქალზე. არცთუ იშვიათად, ქალებზე ადევნება ხდება იმ მამაკაცების მხრიდანაც, რომლებთანაც მათ არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა, მაგრამ როგორც წესი, მოძალადე არ არის უცხო პირი, მას ქალი

საიდანლაც იცნობს.<sup>2</sup> სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლი ადგენს შემდეგს: „მხარეები იღებენ საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს“.

შესაბამისად, ქვეყანა, რომელსაც რატიფიცირებული აქვს კონვენცია, ვალდებულია, მოახდინოს ადევნების აქტის კრიმინალიზაცია. დღეის მდგომარეობით, სტამბოლის კონვენცია რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს 22 წევრ სახელმწიფოში.<sup>3</sup> თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ადევნების კრიმინალიზაცია განსაზღვრულია 22-ვე ქვეყნის კანონმდებლობით, მაგალითად, დანიამ ისარგებლა კონვენციის 78-ე მუხლის (დათქმები) მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობით და დათქმის ფარგლებში უფლება დაიტოვა ადევნებაზე დააწესოს არასისხლისამართლებრივი სანქციები (მაგ.: დანიის კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს შეუძლია მიმართოს პოლიციას შემაკავებელი ორდერის გამოსაცემად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა კი, დამაშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება, თუ ის დაარღვევს შემაკავებელი ორდერის პირობებს).<sup>4</sup> საქართველოში კონვენცია ძალაში შევიდა 2017 წლის 19 მაისს. რატიფიცირებისას, საქართველოს სპეციალური დათქმა კონვენციის 34-ე მუხლთან (ადევნება) მიმართებით არ გაუკეთებია. შესაბამისად, კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის, კოდექსს დაემატა 151<sup>1</sup> მუხლი ადევნების შესახებ, რაზეც ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ჭრილში

<sup>2</sup> იხ.: <https://rm.coe.int/stalking-and-the-istanbul-convention/16808c59b2> გვ. 2.

<sup>3</sup> იხ.: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/signatures>

<sup>4</sup> იხ.: [https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/declarations?p\\_auth=OltbFhBQ&\\_coeconventions\\_WAR\\_coeconventionsportlet\\_enVigueur=false&\\_coeconventions\\_WAR\\_coeconventionsportlet\\_searchBy=state&\\_coeconventions\\_WAR\\_coeconventionsportlet\\_codePays=DEN&\\_coeconventions\\_WAR\\_coeconventionsportlet\\_codeNature=2](https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/declarations?p_auth=OltbFhBQ&_coeconventions_WAR_coeconventionsportlet_enVigueur=false&_coeconventions_WAR_coeconventionsportlet_searchBy=state&_coeconventions_WAR_coeconventionsportlet_codePays=DEN&_coeconventions_WAR_coeconventionsportlet_codeNature=2)

უფრო ვრცლად ვისაუბრებთ კვლევის მომდევნო ნაწილში.

კონვენციის განმარტებითი ანგარიში<sup>5</sup> მკაფიოდ განსაზღვრავს ადევნების სისხლისსამართლებრივ შემადგენლობას, რაც გულისხმობს განზრას არაერთგზის მუქარას მეორე პირის მიმართ, რაც მასში იწვევს შიშის შეგრძნებას საკუთარ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ეს მოიცავს განზრახი ბუნების ნებისმიერ განმეორებად არასასურველ ქცევას მეორე პირის მიმართ, რომელიც მასში შიშის იწვევს. ასეთი ქცევა შეიძლება გულისხმობდეს სხვა პირის მუდმივად ადევნებასა და თვალთვალს; პირთან კომუნიკაციას, რომელსაც ამის სურვილი არა აქვს; ან შეტყუბინებას, რომ მას უთვალთვალებენ, ეს ასევე, შეიძლება მოიცავდეს პირის ფიზიკურ ადევნებას; დახვედრას სამუშაო ადგილას, სპორტულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ვირტუალურ სამყაროში მიდევნებას („ჩატრუმებში“, სოციალურ ქსელებში და ა. შ.). არასასურველ კომუნიკაციაში ჩართვა გულისხმობს ნებისმიერი აქტიური კონტაქტის ძეგბას დაზარალებულთან ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. გარდა ამისა, შემაშინებელ ქცევას შეიძლება ჰქონდეს მრავალფეროვანი გამოხატულება, მაგალითად, სხვა პირის ქონების მიმართ ვანდალიზმი, პირის პირად ნივთებზე წვდომის მსუბუქი ნიშან-კვალის დატოვება, პირის ცხოველისთვის ზიანის მიყენება, გამოგონილი პირის სახელით მოქმედება ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება. ადევნება სახეზეა თუ მუქარის შემცველი ქცევა განხორციელდა განზრას და დაზარალებულის დაშინების მიზნით.

ადევნების დროს საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ ძალადობასთან, შესაბამისად, სტამბოლის კონვენცია (78.3 მუხლი) შესაძლებლობას აძლევს ხელშემკვრელ მხარეებს ადევნებაზე დააწესონ არასისხლისსამართლებრივი სანქციები, იმ პირობით, რომ ამგვარი სანქციები იქნება ეფექტური, თანაზომიერი და გადა-

<sup>5</sup> იხ.: <https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5> გვ. 63.

მარწმუნებელი. აქედან გამომდინარე, დათქმის ფარგლებში, შემაკვებელი ორდერი შეიძლება მიჩნეულ იქნას არასისხლის-სამართლებრივი სანქციის სახედ. მართალია, კონვენცია მიზნად ისახავს ადევნების კრიმინალიზაციას, თუმცა, იგი არ ზღუდავს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს, შემოიღონ არასისხლის სამართლებრივი სანქციები ადევნების აღსაკვეთად.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად, ქვეყნებმა ეროვნულ დონეზე მოახდინეს ადევნების კრიმინალიზაცია (გარდა დანიისა, რომელმაც დათქმა გააკეთა). თუმცა, საკანონმდებლო დეფინიცია ამ ქვეყნებში მსგავსი არ არის. ზოგიერთმა ხელშემკვრელმა მხარემ ადევნება განმარტა ვიწროდ, ვიდრე მას სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებდა. მაგალითად, რუმინეთის კანონმდებლობის მიხედვით, ადევნების სისხლის სამართლებრივი შემადგენლობა სახეზეა თუ მსხვერპლზე ადევნება ხდება მრავალჯერადად, მის საცხოვრებელ სახლზე, სამუშაო ან სხვა ადგილზე თვალთვალი და არასასურველი (ტელეკომუნიკაციის დამყარება მასთან. ადევნების სხვა ტაქტიკა, რომელიც გათვალისწინებულია სტამბოლის კონვენციის განმარტებით ბარათში, მაგალითად, ქონების განადგურება და არასწორი ინფორმაციის გავრცელება ონლაინ სივრცეში, არ გვხვდება რუმინეთის საკანონმდებლო ჩანაწერში. მსგავსი სახის შეზღუდული განმარტებებია აგრეთვე, ესპანეთის, ავსტრიის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის კანონმდებლობებშიც.<sup>6</sup>

ქვემოთ დეტალურად მიმოვინილავთ საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის საკანონმდებლო დებულებებს, რომლითაც რეგულირდება ადევნება.

## ავსტრია

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 107(a) მუხლის მიხედვით,<sup>7</sup> უკანონოდ, სისტემატურად პირის დევნა ისჯება თა-

<sup>6</sup> იბ.: New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States, European Journal on Criminal Policy and Research, Volume 24, 2018, pp. 315-333.

<sup>7</sup> იბ.: [https://www.legislationline.org/download/id/8407/file/Austria\\_CC\\_1974\\_am2019\\_de.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8407/file/Austria_CC_1974_am2019_de.pdf)

ვისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე ან ჯარიმით, სასჯელის 720 დღის გათვალისწინებული ოდენობით. ამავე მუხლის თანახმად, სისტემატურ დევნად ითვლება ქმედება, თუ პირს ამოძრავებს წინასწარი განზრახვა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სერიოზულად იმოქმედოს მსხვერპლის ცხოვრების წესზე: 1. ცდილობს მსხვერპლთან ფიზიკური სიახლოვის დამყარებას. 2. ტელეკომუნიკაციის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების ან მესამე პირების მეშვეობით მსხვერპლთან დაკონტაქტებას. 3. მსხვერპლის პერსონალური მონაცემების გამოყენებით, უკვეთავს ნივთებს ან მომსახურებას საკუთარი თავისთვის. 4. ავალდებულებს მესამე პირებს ეკონტაქტონ მას მისი პერსონალური მონაცემების გამოყენებით.

## ჩეხეთი

ჩეხეთის სისხლის სამართლის კოდექსის 354-ე მუხლის მიხედვით,<sup>8</sup> ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადევნება მოიცავს შემდეგ ქმედებებს: а) პირი მიმართავს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის მუქარას; ბ) ცდილობს მსხვერპლთან ფიზიკურ სიახლოვეს ან უთვალთვალებს მას; გ) ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გზით გამუდმებით ცდილობს მსხვერპლთან დაკონტაქტებას წერილობით ან სხვა ფორმით; დ) ბოროტად იყენებს მსხვერპლის პირად მონაცემებს პირადი ან სხვა კონტაქტის მოპოვების მიზნით. ქმედების ამ მუხლით დაკვალიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ იგი იწვევდეს მსხვერპლში მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფუძვლიან შიშს. წინამდებარე მუხლი ადევნებისთვის სანქციად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე ან საქმიანობის აკრძალვას.

ჩეხეთის სისხლის სამართლის კოდექსის 354-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს. კერძოდ, თუ ზემოაღნიშნული ქმედება პირმა ჩაიდინა ა) ბავშვის ან ორსული ქალის მიმართ; ბ)

<sup>8</sup> იხ.: <http://www.ejtn.eu/PageFiles/6533/Criminal%20Code%20of%20the%20Czech%20Republic.pdf>

იარაღის გამოყენებით ან გ) ორზე მეტი პირის მიმართ, მაშინ სანქციად უნდა განესაზღვროს მას თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 3 წლამდე.

## გერმანია

გერმანის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,<sup>9</sup> თუ პირი უკანონოდ ახდენს ადევნებას სხვა პირზე: 1. მასთან ფიზიკური სიახლოვის დამყარების მიზნით; 2. ცდილობს მსხვერპლთან დაკონტაქტებას ტელეკომუნიკაციის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით ან მესამე პირების მეშვეობით; 3. ბოროტად იყენებს მსხვერპლის პერსონალურ მონაცემებს საკუთარი თავისთვის ნივთების ან მომსახურების შესაკვეთად ან აიძულებს მესამე პირებს ეკონტაქტონ მას; 4. ემუქრება მსხვერპლს მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ან თავისუფლების შეზღუდვით; 5. ახორციელებს მსგავსი სახის ქმედებებს, რის შედეგადაც სერიოზული ზიანი ადგება მსხვერპლის ცხოვრების წესს, ამგვარი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს, 3 წლის ვადით ან ჯარიმით.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებებს. კერძოდ, თუ პირი საფრთხეს შეუქმნის მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს ან ჯანმრთლობას, ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 თვიდან 5 წლამდე. თუ ქმედება გამოიწვევს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის მოსპობას, მაშინ სასჯელად უნდა განისაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლიდან 10 წლამდე.

ზემოაღნიშნული კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სისხლისამართლებრივი დევნა იწყება დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურატურა მიიჩნევს, რომ

<sup>9</sup> იხ.: [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_stgb/englisch\\_stgb.html#p1986](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1986)

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება აუცილებელია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

## რუმინეთი

რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად,<sup>10</sup> სისტემატური თვალთვალი ლეგიტიმური მიზნით ან მიზნის გარეშე პირზე ან მის საცხოვრებელ, სამუშაო თუ სხვა ადგილზე, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლთან და იწვევს მასში შიშს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 თვიდან 6 თვემდე ან ჯარიმით.

მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება მობილური ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით, თუ გზავნილის შინაარსი და სიხშირე იწვევს მასში შიშს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 თვიდან 3 თვემდე ან ჯარიმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მსგავსი ქმედება წარმოადგენს სერიოზულ დანაშაულს.

ადევნებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე.

## უნგრეთი

უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,<sup>11</sup> ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის დაშინებას, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას ან შეწუხებას ან იწვევს ფსიქიკურ ტანჯვას, აგრეთვე სისტემატურად სხვა პირის შევიწროებას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე, თუ აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის უფრო მძიმე დანაშაულს.

სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე ისჯე-

<sup>10</sup> ob.: [https://www.legislationonline.org/download/id/6160/file/ROMANIA\\_Criminal%20Code\\_excerpt\\_en\\_as%20of%20Nov2015.pdf](https://www.legislationonline.org/download/id/6160/file/ROMANIA_Criminal%20Code_excerpt_en_as%20of%20Nov2015.pdf)

<sup>11</sup> ob.: <https://www.refworld.org/pdfid/4c358dd22.pdf>

ბანებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლის დაშინებას: а) ძალადობის გამოყენების მუქარას ან საფრთხეს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ; ბ) ქმნის შთა-ბეჭდილებას, რომ მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას გარდა-უვლად ემუქრება საფრთხე.

კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პა-სუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებებს. კერძოდ, თუ შე-ვიწროება ჩადენილია: а) მეუღლის, ყოფილი მეუღლის, ინტი-მური პარტნიორის ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მი-მართ; ბ) დამნაშავის მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყო-ფი პირის მიმართ; გ) თუ დამნაშავე ბოროტად იყენებს ნდო-ბას, უფლებამოსილებას ან ზემოქმედებას მსხვერპლზე, ისჯე-ბა ამ კოდექსის 222-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწი-ნებულ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამ-დე, ხოლო მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით.

## საფრანგეთი

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 222-33-22 მუხ-ლის მიხედვით,<sup>12</sup> სხვა პირის ფსიქოლოგიური შევიწროება ან განმეორებადი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ამ პირის პრო-ფესიული შრომისუნარიანობის დაქვეითებას, რაც გავლენას ახდენს მის უფლებებსა და ღირსებაზე, ზიანს აყენებს მის ფი-ზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან ამ პირის პროფესიულ მომავალს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამ-დე და ჯარიმით 30.000 ევროს ოდენობით.

მეუღლის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის ან პარტნიორის შევიწროება სიტყვიერად ან განმეორებადი ხა-სიათის ქცევებით, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლის ცხოვრების პირობების გაუარესებას, რის შედეგადაც მას აღ-გება ზიანი ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე და ჯარიმით

<sup>12</sup> იხ.: [https://www.legislationline.org/download/id/8442/file/France\\_CC\\_am24112019\\_fr.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8442/file/France_CC_am24112019_fr.pdf)

45.000 ევროს ოდენობით, თუ ამგვარმა ქმედებამ გამოიწვია პირის შრომისუნარიანობის დაქვეითება 8 ან ნაკლები დღის ოდენობით ან არ გამოუწვევია შრომისუუნარობა.

თუ ქმედებამ გამოიწვია შრომისუნარიანობის დაქვეითება 8 დღეზე მეტი ხნის ვადით, მაშინ სანქციად განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 75.000 ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნული სანქციებია გათვალისწინებული იმ შემთხვევაშიც, თუ დანაშაული ჩადენილია ყოფილი მეუღლის ან ყოფილი პარტნიორის მიმართ.

სხვა პირის შევიწროება სიტყვიერად ან განმეორებადი ხასიათის ქცევებით, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლის ცხოვრების პირობების გაუარესებას, რის შედეგადაც მას ადგება ზიანი ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე და ჯარიმით 15.000 ევროს ოდენობით, თუ ამგვარმა ქმედებამ გამოიწვია პირის შრომისუნარიანობის დაქვეითება 8 ან ნაკლები დღის ოდენობით ან არ გამოუწვევია შრომისუუნარობა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებსაც. კერძოდ, სასჯელი გამკაცრდება თუ ქმედება ჩადენილია 15 წელს მიუღწეველი პირის მიმართ ან მსხვერპლი მიეკუთვნება მოწყვლად კატეგორიას (ასაკის, ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არის ორსული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე). დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია საჯარო ონლაინ საკომუნიკაციო სერვისებით სარგებლობაც.

## ლუქსემბურგის სისხლის სამართლის კოდექსის 442.2 მუხლის მიხედვით,<sup>13</sup> სხვა პირის სისტემატური შევიწროებაა, როდესაც

<sup>13</sup> იხ.: [https://sherloc.unodc.org/res/cld/document/lux/2014/criminal\\_code\\_of\\_luxembourg\\_html/cp\\_L2T08.pdf](https://sherloc.unodc.org/res/cld/document/lux/2014/criminal_code_of_luxembourg_html/cp_L2T08.pdf)

დამნაშავემ იცის ან უნდა სცოდნოდა, რომ ამგვარი ქმედებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა პირის სიმშვიდეზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 15 დღიდან 2 წლამდე და ჯარიმით 251-3000 ევროს ოდენობით. სისხლისამართლებრივი დევნა ამგვარ დანაშაულზე იწყება მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვის საჩივრის საფუძველზე.

## პოლადია

პოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 285b მუხლის თანახმად,<sup>14</sup> არაკანონიერი, სისტემატური, განზრახი ქმედება, რომელიც არღვევს სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას იმ მიზნით, რომ აიძულოს იგი შეასრულოს რამე მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან ან აღძრავს მსხვერპლში შიშს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით ან მეოთხე კატეგორიის ჯარიმით.

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწყების საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ მსხვერპლის საჩივრი.

ზემოაღნიშნული ქვეყნების მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ადევნებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩანაწერები არაერთგვაროვანია დანაშაულის შემადგენლობის დეფინიციასთან, დამამდიმებელი გარემოებების ჩამონათვალთან, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საფუძვლებთან და სანქციებთან დაკავშირებით. დამატებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მაგალითად, გერმანიაში სახელმწიფო ბრალდების მხარეს ევალება დაამტკიცოს, რომ ქმედებამ არსებითი ზიანი მიაყენა მსხვერპლის ცხოვრების წესს, მაშინ როდესაც პოლონეთში ქმედების ადევნებად მიჩნევისათვის საკამარისა, რომ იგი იწვევდეს მსხვერპლში „საფუძვლიან შიშს“ ან „არსებითად არღვევდეს მის სიმშვიდეს“. იტალიაში კი აუცილებელია, რომ მსხვერპლს ადევნების შედეგად განცდილი პქონდეს გარკვეული ხარისხის შფოთვა ან შიში, რომელიც ფასდება ექსპერტიზის გზით. დანაშაული სახეზე იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ ქმე-

<sup>14</sup> იხ.: [https://www.legislationline.org/download/id/6415/file/Netherlands\\_CC\\_am2012\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6415/file/Netherlands_CC_am2012_en.pdf)

დებამ განაპირობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის ცხოვ-  
რების წესის შეცვლა ან უსაფრთხოებაზე საფუძვლიანი შიში.  
აღნიშნულის პარალელურად, არიან ქვეყნები, სადაც ქმედე-  
ბის ადევნებად დაკვალიფიცირებისთვის არ არის აუცილებე-  
ლი, რომ იგი მსხვერპლში იწვევდეს საფუძვლიან შიშს ან მის  
ცხოვრების წესზე ახდენდეს ნეგატიურ გავლენას. მსგავსი სა-  
ხის შედეგთან მიმართებით ნეიტრალური საკანონმდებლო ჩა-  
ნაწერი ითვლება, რომ ამსუბუქებს მტკიცების ტვირთს, პრო-  
კურატურას არ უწევს ამტკიცოს თუ რა სახის ზიანი მიადგა  
მსხვერპლს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ქმედების შედეგად  
პირს მიადგა ფსიქიკური ზიანი, რაც დამტკიცების კუთხით გა-  
მოწვევას წარმოადგენს. მაგალითად, ამერიკაში აღნიშნული  
კატეგორიის დანაშაულებზე ბევრმა შტატმა დაამკვიდრა ობი-  
ექტური დამკვირვებლის სტანდარტი, რომლის თანახმადაც,  
სასამართლოში არ არის საჭირო დამტკიცდეს ქმედების შედე-  
გად კონკრეტულად განიცადა თუ არა პირმა ზიანი, ამისათ-  
ვის საკმარისია შეფასდეს განმეორებადი ხასიათის ქცევიდან  
გამომდინარე თუ რა სახის ფსიქოლოგიური სტრესი შეიძლება  
განეცადა ობიექტურ დამკვირვებელს.<sup>15</sup>

ზოგადად, ადევნების საკანონმდებლო დეფინიცია მოიცავს სამ  
ელემენტს – ქმედებას, განზრახვას და შედეგს მსხვერპლზე.  
ქმედების ელემენტი გულისხმობს მრავალჯერად ქმედებას ან  
რამდენიმე მოქმედებას, რომელიც წარმოადგენს ადევნებას.  
ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა აწესებს ქმედებების რაო-  
დენობის მინიმალურ ზღვარს, რის შემდეგაც შესაძლებელია  
ადევნებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის  
დაკისრება. მაგალითად, უმეტესწილად კანონმდებლობებით  
დადგენილია მინიმალურ ზღვრად – ადევნების ორი შემთხვე-  
ვა, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში სისხლისამართლებრივი პა-  
სუხისმგებლობისთვის საკმარისია ერთი შემთხვევაც. გან-  
ზრახვის ელემენტი ზოგადად, მოიცავს შიშის გამოწვევის გან-  
ზრახვას ან/და უხეშ გაუფრთხილებლობას შიშის გამოწვევას-

<sup>15</sup> New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States, European Journal on Criminal Policy and Research, Volume 24, 2018, pp. 315-333.

თან მიმართებით, ობიექტური დამკვირვებლის ტესტის მიხედვით. მსხვერპლზე შედეგი კი გამონვეული უნდა იყოს მუქარით, რომელიც ზოგიერთი კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა იყოს რეალური/დამაჯერებელი.<sup>16</sup>

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილული აქვს ოჯახში ძალადობისა და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ არაერთი საქმე, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად კონკრეტულად, ადევნებსაც ეხებოდა. სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნულ საჩივრებზე ნამსჯელი აქვს ძირითადად, ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების ფარგლებში.

2019 წელს, სტრასბურგის სასამართლომ განიხილა საქმე **ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ** (Volodina v. Russia),<sup>17</sup> რომელიც ეხებოდა ადევნებას. კერძოდ, მომჩივნის განმარტებით, ყოფილმა პარტნიორმა მას ხელჩანთაში გადაადგილების საკონტროლოდ განუთავსა GPS მოწყობილობა და უთვალთვალებდა სახლის წინ, ცდილობდა დაესაჯა მომჩივანი მისთვის მიუღებელი ქცევისთვის, რის გამოც ხშირად ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით და ქონების, აგრეთვე, პირადობის დამადასტურებელი საბუთების ჩამორთმევით ან დაზიანებით. დამატებით, მოძალადემ გამოაქვეყნა მსხვერპლის ფოტო-სურათები, რითაც შეიღახა მისი ღირსება. ადევნების არაერთი ინციდენტის შედეგად, მომჩივანს შეექმნა შიშისა და დაუცველობის განცდა.

<sup>16</sup> იხ.: [http://www.ejtn.eu/Documents/THEMIS%202015/Written\\_Paper\\_Portugal\\_1.pdf](http://www.ejtn.eu/Documents/THEMIS%202015/Written_Paper_Portugal_1.pdf) გვ. 6.

<sup>17</sup> ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ (Volodina v. Russia), №41261/17, ECHR 2019.

მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა კონკრეტულად ოჯახში ძალადობას, როგორც ცალკე დანაშაულს, ამასთან რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ ცნობდა მას, როგორც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებას. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის არ იყო საკონონმდებლო დონეზე ხელმისაწვდომი ძალადობისგან დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახის წევრზე ძალადობისთვის წარმოიშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალადობას ადგილი ექნებოდა ბოლო 12 თვის განმავლობაში მინიმუმ, ორჯერ ან ძალადობის შედეგად სახეზე იქნებოდა მსხვერპლის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მაინც. გარდა აღნიშნულისა, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, იმ დანაშაულებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ან განმეორებადი ცემის შემთხვევაში, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა და დაზარალებულის საჩივარი.

ზემოაღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლის და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის დარღვევა კონვენციის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას და აღნიშნა შემდეგი:

(§73) არასათანადო მოპყრობა მოექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიაღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. აღნიშნული ზღვარის შეფასება კი, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხზე, მის ხანგრძლივობასა და იმ ფიზიკურ და გონებრივ შედეგზე, რაც გამოწვეული იქნა ამგვარი მოპყრობისგან, აგრეთვე, მსხვერპლის სქესზე, მასსა და მოძალადეს შორის ურთიერთობაზე. მოპყრობა, რომელიც პირს ამცირებს, ავლენს მის მიმართ დამცირებას ან ლახავს მის ღირსებას, რის შედეგადაც პირს წარმოეშობა შიშის, ტანჯვის ან არასრულ-

ფასოვნების განცდა, რაც აქვეითებს მის მორალურ თუ ფიზიკურ გამძლეობას, წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას და იკრძალება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შედეგად არ დამდგარა სხეულის რეალური დაზიანება ან ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმარისია მსხვერპლი თავად გრძნობდეს თავს დამცირებულად, თუნდაც სხვების თვალში ასე არ იყოს (Bouyid v. Belgium [GC], no. 23380/09, §§ 86-87, ECHR 2015).

(§74) მოცემულ საქმესთან ზემოაღნიშნული გარემოებების მისადაგებისას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ფიზიკური ძალადობა, რომელიც მიაყენა ს.-მ მომჩივანს, ასახულია როგორც სამედიცინო დოკუმენტებში, ასევე, პოლიციის ჩვენებებში. მინიმუმ, სამ შემთხვევაში ს.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას, დაარტყა სახესა და მუცლის არეში, იმ პერიოდშიც კი, როცა მომჩივანი იყო ორსულად (პარაგრაფები 14, 17 და 21). მუცლის არეში განსაკუთრებით მძიმე დარტყმამ გამოიწვია ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა. ამ ინციდენტებმა ცალკე აღებულმაც კი მიაღწია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სისასტიკის სათანადო ზღვარს. თუმცა, სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ ფიზიკურ დაზიანებებთან ერთად, ფსიქოლოგიური ძალადობა წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მნიშვნელოვან ასპექტს (Valiulienė v. Lithuania, no. 33234/07, § 69, 26 March 2013).

მოცემულ საქმეში სასამართლომ გამოყო ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები:

(§77) პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული მოიცავს:

(ა) სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას და პრაქტიკაში გამოიყენოს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს კერძო პირების მიერ არასათანადო მოპყრობის-გან დაცვას;

(ბ) სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს სათანადო ზომები,

რათა თავიდან აიცილოს არასათანადო მოპყრობის რეალური და მყისიერი საფრთხე, რის შესახებაც ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა იციან ან უნდა სცოდნოდათ;

(გ) სახელმწიფოს ვალდებულებას, განახორციელოს ეფექტური გამოძიება, როდესაც არასათანადო მოპყრობის შესახებ არსებობს საჩივარი (Bevacqua and S., ზემოაღნიშნული, § 65; Opuz, ზემოაღნიშნული §§ 144-45 და 162-65; Eremia, ზემოაღნიშნული §§ 4952 და 56; Valiulienë, ზემოაღნიშნული, §§ 74-75; Rumor v. Italy, no. 72964/10, § 63, 27 May 2014; Talpis v. Italy, no. 41237/14, §§ 100-06, 2 March 2017; და Bălăan v. Romania, no. 49645/09, § 57, 23 May 2017).

წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა არ მიმართეს ეფექტურ საგამოძიებო მოქმედებებს. კერძოდ, 2 წლის განმავლობაში მომჩივანმა არაერთხელ მიმართა საჩივრით ძალადობის შესახებ შესაბამის უწყებას სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით, თუმცა, სამართალდამცავი ორგანო გამოხატვდა უმოქმედობას, მათ შორის, არ ნიშნავდა სამედიცინო ექსპერტიზას დროულად, ინციდენტის მოხდენისთანავე, როდესაც თვალნათლივ შეიმჩნეოდა მომჩივნის სხეულზე დაზიანებები, ამასთან, სამართალდამცავმა უწყებამ მომჩივანს ცემისა და ძალადობის მუქარასთან მიმართებით მტკიცების უჩვეულოდ მაღალი სტანდარტი მოთხოვეს.

(ქ86) სასამართლო იმეორებს, რომ ხელისუფლების ორგანოებს აქვთ ვალდებულება გაატარონ სათანადო ღონისძიებები ოჯახის წევრის ან პარტნიორის მიერ პირის პიროვნული ხელშეუხებლობის მძიმე დარღვევის ეფექტურად აღსაკვეთად (M. and Others v. Italy და Bulgaria, no. 40020/03, § 105, 31 July 2012, და Opuz, ზემონახსენები, § 176). ხელისუფლების მხრიდან ჩარევა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში შეიძლება გახდეს აუცილებელი, რომ დაცულ იქნას მსხვერპლის ჯანმრთელობა და მისი უფლებები ან ზოგიერთ შემთხვევაში, თავიდან იქნას აცილებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა (Opuz, § 144, და Eremia, §52, ზემონახსენები). რეალური და მყისიერი საფ-

რთხის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები ოჯახში ძალა-დობის კონტექსტი. ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არა საზოგადოების ზოგადი დაცვის გალდებულება, არამედ უპირველეს ყოვლისა, ოჯახში ძალადობის თან-მდევრი ეპიზოდების განმეორების რისკის გათვალისწინება (Talpis, ზემოხსენებული, § 122). სასამართლომ არაერთ საქმე-ში დაადგინა, რომ მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლების ორ-განოები არ ყოფილან სრულიად უმოქმედოდ, სახეზე იყო ევ-როპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალ-დებულების დარღვევა, რადგან ზომები, რაც მათ მიიღეს, ვერ უზრუნველყოფდა მოძალადის ხელშეშლას მსხვერპლის მი-მართ შემდგომი ძალადობის ჩადენაში (Bevacqua and S., ზემოხ-სენებული, § 83; Opuz, ზემოხსენებული, §§ 166-67; Eremia; ზე-მოხსენებული, §§ 62-66; და B. v. the Republic of Moldova, no. 61382/09, § 53, 16 ივლისი, 2013).

(§87) მომჩივანმა ხელისუფლების შესაბამის ორგანოს პარტნი-ორის მხრიდან ძალადობის შესახებ პირველად 2016 წლის 1 იან-ვარს შეატყობინა. მან პოლიციას გადაუდებელი დახმარების თხოვნით მიმართა, მოგვიანებით, ძალადობისა და ძალადო-ბის მუქარის სხვადასხვა ეპიზოდებზეც და წარადგინა ფორმა-ლური საჩივარი 2016 წლის 25 იანვარს, 18 მაისს, 30 ივლისა და 1 აგვისტოს, ასევე, 2018 წლის 12 და 21 მარტს. საჩივარში მომ-ჩივანი ატყობინებდა სამართალდამცავ უწყებას ძალადობის მუქარის და ს.-ს მიერ განხორციელებული ძალადობის თაობა-ზე, რის დასტურადაც წარდგენილი ჰქონდა ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ცნობა. შესაბამისად, ხელისუფლების ორ-განოს წარმომადგენლებისთვის ცნობილი იყო ან უნდა სცოდ-ნოდათ იმ ძალადობის შესახებ, რომელსაც მომჩივანი დაექვემ-დებარა და ძალადობის ხელახალი განმეორების რეალური და მყისიერი საფრთხე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ხე-ლისუფლებას ჰქონდა ვალდებულება მიეღო ყველა სათანადო ზომა მომჩივნის დასაცავად (Eremia, § 58, and Balsan, § 62, ზე-მოხსენები).

მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ევ-როპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაც, რადგან მი-იჩნია, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებე-

ბის, ასევე, შიდა და საერთაშორისო წყაროების მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია prima facie მიუთითებდა, რომ რუსეთში ოჯახში ძალადობის უმეტეს შემთხვევებში, მსხვერპლს წარმოადგენდნენ ქალები. ამასთან, რუსეთის კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის აღკვეთას.

**საქმეში ა. ხორვატიის წინააღმდეგ** (A. v. Croatia),<sup>18</sup> მომჩინის ქმარი, რომელსაც სერიოზული ფსიქიკური აშლილობის დაგნოზი დაუსვეს ძალადობისა და იმპულსური ქცევისკენ მიდრეკილებით, მომჩივანზე ახორციელებდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, რაც მოიცავდა სიცოცხლის მოსპობის მუქარას, დარტყმებსა და წინელით ცემას თავში, სახესა და სხეულზე. მომჩივანს ქმარი ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას მათი ქალიშვილის თანდასწრებით, რომელიც თავის მხრივ, ასევე იყო ძალადობის მსხვერპლი. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ მომჩივნის დამაჯერებელი მტკუცებულებების გათვალისწინებით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მისი ქმარი მისი ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და არაერთგზის ესხმოდა მას თავს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება, დაეცვათ იგი ძალადობრივი ქცევისგან. თუმცა, მათ ვერ შეძლეს ამ ვალდებულების სათანადო შესრულება. პირველი, იმ შემთხვევებში, როგორიც ეს საქმეა, რომელიც მოიცავს ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე მსხვერპლის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების მთელ რიგს, მომჩივანი უფრო ეფექტურად იქნებოდა დაცული, თუკი ხელისუფლების ორგანოები ვითარებას მთლიანობაში დაინახავდნენ და არ დაიწყებდნენ სამართალნარმოებას რამდენიმე განცალკევებულ შემთხვევასთან დაკავშირებით. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ გაიცა სხვადასხვა დამცავი ორდერი, ბევრი მათგანი, როგორიცაა დაკავების პერიოდი, ჯარიმები, ფსიქო-სოციალური მკურნალობა და პატიმრობის ვადაც კი – არ აღსრულდა, შესაბამისად, ძირი გამოეცალა ქმედების ჩადენის შეკავების

<sup>18</sup> ა. ხორვატიის წინააღმდეგ (A. v. Croatia), 155164/08, ECHR 2010.

ეფუქტს. ამასთან, სახეზე იყო ხანგრძლივი დაყოვნებები რეკო-  
მენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც გა-  
იცა განგრძობითი ფსიქიატრიული მკურნალობისათვის. შეჯა-  
მებისათვის, ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ ღონისძიებე-  
ბის განუხორციელებლობამ, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა  
მოძალადის ფსიქიატრიული მდგომარეობის მკურნალობა, რაც  
როგორც ჩანს, განაპირობებდა ქმრის ძალადობრივ ქცევას და  
უზრუნველყოფდა მომჩივნის დაცვას შემდგომი ძალადობისგან,  
გამოიწვია მომჩივნის ხანგრძლივი პერიოდით რისკის ქვეშ და-  
ტოვება.

დამატებით, მომჩივანი მიუთითებდა, რომ ოჯახური ძალადო-  
ბის კონტექსტში ხორვატიის მიერ მიღებული ღონისძიებისა  
თუ პრაქტიკის ეფუქტი იყო დისკრიმინაციული ხასიათის თუმ-  
ცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენი-  
ლი საკმარისი prima facie მტკიცებულება, შესაბამისად, ამ წა-  
ნილში სასამართლომ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლობის  
საფუძვლით დაუშვებლად ცნო.<sup>19</sup>

საქმეში **ტალპისი იტალიის წინააღმდეგ** (Talpis v. Italy),<sup>20</sup> რო-  
მელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას (კერძოდ, მომჩივნის შვი-  
ლის მკვლელობას, ხოლო მის მიმართ და მისი მეორე შვილის  
მიმართ არასათანადო მოჰყრობას, ასევე, მომჩივანი აღნიშნავ-  
და, რომ იგი იყო ადევნების მსხვერპლი), სტრასბურგის სასა-  
მართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის  
უფლება), მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოჰყრო-  
ბა) მუხლების, ასევე მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალ-  
ვა) დარღვევა მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა,  
რომ მომჩივანსა და მის ვაჟზე ვრცელდებოდა კონვენცია – ქ-  
ნი ტალპისი დაექვემდებარა იმგვარი ხასიათის ძალადობას, რა-  
მაც საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლეს. მას შემდეგ რაც ქ-ნმა  
ტალპისმა წარადგინა სარჩელი განცდილი ძალადობის თაო-  
ბაზე და განაცხადა, რომ საფრთხე ემუქრებოდა მისი და მისი

<sup>19</sup> იხ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:\[%22001-193209%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:[%22001-193209%22]})

<sup>20</sup> ტალპისი იტალიის წინააღმდეგ (Talpis v. Italy), №41237/14, ECHR 2017.

ქალიშვილის სიცოცხლეს და ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დამცავი ორდერის გამოცემა. მომჩივნილი დაკითხეს საჩივრის წარდგენიდან შვიდი თვის გასვლის შემდეგ. სიტუაციიდან გამომდინარე, აღნიშნულმა დაგვიანებამ მომჩივნის ცალსახად წაართვა აუცილებლად საჭირო დაუყოვნებლივი დაცვა. ეროვნულ ხელისუფლებას მხედველობაში უნდა მიეღო მომჩივნის უმწეო მდგომარეობა, ფიზიკური და მორალური მოწყვლადობა, სიტუაცია სათანადოდ შეეფასებინა და ქ-ნი ტალპისი შესაბამისი დაცვით უზრუნველეყო. ხელისუფლებამ არ შეაფასა მომჩივნის წინაშე არსებული რისკები, მათ შორის, შემდგომი ფიზიკური ძალადობის რისკი. შესაბამისად, ეფექტიანი ღონისძიებების გაუტარებლობით, ეროვნულმა ხელისუფლებამ ერთგვარად ხელი შეუწყო მომჩივნის მეუღლეს განეხორციელებინა ძალადობის შემდგომი აქტები. უფრო მეტიც, მოძალადის დაუსჯელობამ საბოლოოდ გამოიწვია 2013 წლის 25 ნოემბრის ღამის ტრაგიული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ორჯერ ჩაერია იმ ღამით განვითარებულ მოვლენებში, მათ არ მიუღიათ სათანადო ზომები, რათა სიტუაციის სერიოზულობის გათვალისწინებით, მომჩივნი ადეკვატურად დაეცვათ, იმ დროს როცა პოლიციისთვის ცნობილი იყო ქ-ნი ტალპისის მეუღლის ძალადობრივი ქმედებების შესახებ და ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გამოძიება სხეულის მძიმე დაზიანების თაობაზე, განმცხადებლის მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით. ქ-ნი ტალპისის მეუღლის სისხლისსამართლებრივი წარსულის შემოწმების მიზნით, პოლიციისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მომჩივნის მიმართ არსებული რეალური საფრთხის შესახებ. ამრიგად, კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ვერ გაატარა ეფექტური ლონისძიებები, რომელიც რაციონალურად თავიდან აიცილებდა მომჩივნის ვაჟის მკვლელობას და მისი მკვლელობის მცდელობას. შესაბამისად, ხელისუფლებამ გამოიჩინა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ვერ შეძლო მომჩივნისა და მისი ვაჟის სიცოცხლის დაცვა. გარდა ამისა, ხელისუფლების მხრიდან დაფიქსირებულმა ხარვეზებმა ქ-ნი ტალპისის სისხლისსამართლებრივი საჩივარი არაეფექტიანი გახადა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ შეიძლება მომჩივანის შეყვანა „მოწყვლადი პირების“ კატეგორიაში, რომლებსაც სახელმწიფო დაცვის უფლება აქვთ; სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ განცდილი ძალა-დობა, რაც მოიცავს სხეულის მძიმე დაზიანებასა და ფსიქო-ლოგიურ ზენოლას, საკმარისად სერიოზული ხასიათის იყო, რათა კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, არასათანადო მოპყრობად ყოფილიყო კვალიფიცირებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების სასამართლო განხილვისას, ეროვნულმა ხელისუფლებამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღოს მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა, მისი ფიზიკური და მორალური მოწყვლადობა და სიტუაცია რაც შეიძლება სწრაფად შეაფასოს ადეკვატურად. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა სარწმუნო განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რატომ არ მიიღო შესაბამისი ზომები სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნის შესახებ საჩივრის წარდგენიდან 7 თვის განმავლობაში. ხელისუფლებას ასევე, არ წარმოუდგენია განმარტება, რატომ გაგრძელდა სხეულის მძიმე დაზიანების შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოება სამი წელი. სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეზე ეროვნული ხელისუფლების მიერ სისხლისსამართლებრივისაქმის წარმოების მეთოდი მიუთითებდა ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობაზე და არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

მოცემულ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პრეცედენტული სამართლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს თანაბარი სამართლებრივი დაცვის უფლების დარღვევას. მოცემულ საქმეში ქ-ნი ტალპისის მიმართ ძალადობა რამდენჯერმე განხორციელდა, რის შესახებაც ცნობილი იყო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის საჩივრის განხილვა შვიდი თვის შემდეგ დაიწყეს და ამ დროის განმავლობაში არ გაუტარებიათ რაიმე დამცავი ღონისძიება.

ქ-ნი ტალპისის მეუღლე დამნაშავედ ცნეს სხეულის მძიმე და-ზიანებასთან დაკავშირებულ საქმეში, სამი წლის შემდეგ (2015 წლის 1-ელ ოქტომბერს), მას შემდეგ რაც მან მოკლა განმცხა-დებლის შვილი და სცადა განმცხადებლის მკვლელობა. წინამ-დებარე საქმეზე ხელისუფლების უმოქმედობა განსაკუთრებით აშკარა იყო იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურამ პო-ლიციას, რომელსაც 6 თვის განმავლობაში არანაირი ღონის-ძიება არ განუხორციელებია, მოსთხოვა დაუყოვნებელი ზო-მები მიეღო ქ-ნი ტალპისისა და მისი შვილის დასაცავად. სასა-მართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებული ფაქტორების კომ-ბინაცია ცხადყოფდა, რომ იტალიის ხელისუფლებამ ძალადო-ბის სერიოზულობის სათანადოდ შეუფასებლობით, იგი საბო-ლოოდ წაახალისა. ამრიგად, ქ-ნი ტალპისი, კონვენციის მე-14 მუხლის საწინააღმდეგოდ, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლს წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომნევე მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2012 წლის ანგარიში, ასევე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტისა და სტატის-ტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემები ასახავს იტალიაში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემის სიმწვა-ვეს და მის თანმდევ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვე-ვებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ-ნი ტალპი-სის საქმე არსებული სტატისტიკის მაგალითი იყო, რომლის თა-ნახმადაც, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, მრავალი ქალი მოკლა პარტნიორმა ან ყოფილმა პარტნიორმა (ფემიცი-დი); ამასთან, ოჯახში ძალადობის ფაქტებისა და ქალთა მი-მართ ძალადობისადმი საზოგადოების შემწყნარებლური და-მოკიდებულება შენარჩუნებული იყო. სასამართლომ დაადგი-ნა, რომ ქ-ნი ტალპისის მიმართ ძალადობა სქესის ნიშნით გან-ხორციელდა და შესაბამისად, ქალთა მიმართ დისკრიმინაცი-ის ფორმას წარმოადგენდა.<sup>21</sup>

<sup>21</sup> იხ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:\[%22001-198585%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:[%22001-198585%22]})

# საქართველოს საერთო სასამართლოების პრატიკის ანალიზი ადგენების შესახებ

საერთო სასამართლოების პრატიკა  
საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიმართვით

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მათი ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებში გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, ნორმატიულ აქტს.<sup>22</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემირჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს“. კანონის ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, მოსამართლე იყენებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, როგორც საქართველოს ნორმატიულ აქტს და სასამართლო საქმის გადაწყვეტისას, ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმებით.<sup>23</sup>

საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის განსაკუთრებულ

<sup>22</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრა როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით, მათ შორის, კანონებით: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (1997) და „ნორმატიული აქტების შესახებ“ (2009).

<sup>23</sup> ქურდაძე ირ., კორკელია კ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003.

ლად უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მი-  
მართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღ-  
კვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), რომელიც არის ყვე-  
ლაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო კონვენცია და მიზ-  
ნად ისახავს ნულვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი ძა-  
ლადობის მიმართ.<sup>24</sup> კონვენციის 34-ე მუხლი კონკრეტულად  
განსაზღვრავს ადევნებას და მოუწოდებს ხელშემკვრელ მხა-  
რეებს მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა სახის  
ზომა მსგავსი ქმედების კრიმინალიზაციისთვის.

სასამართლოს განაჩენების შესწავლის შედეგად გაანალიზე-  
ბულ იქნა, თუ როგორია საერთო სასამართლოებში საერთა-  
შორისოსამართლებრივი აქტების ასახვის პრაქტიკა. აღსანიშ-  
ნავია, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი 91 განაჩენიდან,  
სტამბოლის კონვენციის კონკრეტულად, 34-ე მუხლი, რომე-  
ლიც განსაზღვრავს ადევნებას, მითითებული იყო მხოლოდ  
ერთ საქმეში,<sup>25</sup> სადაც წარდგენილ ბრალდებაში (სსკ-ის 151<sup>1</sup>  
მუხლის 1-ლი ნაწილი) პირი გამართლდა. კერძოდ, დაზარალე-  
ბულთა (ორი პირი) ჩვენებების თანახმად, ბრალდებულმა უკა-  
ნონო თვალთვალითა და სასქესო ორგანოს სისტემატური ჩვე-  
ნებით არასასურველი კომუნიკაცია დაამყარა მათთან, რომ-  
ლებიც იყვნენ მისი მეზობლები. აღნიშნული ქმედებით განი-  
ცადეს ფსიქიური ტანჯვა და შეექმნათ ცხოვრების წესის მნიშ-  
ვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება.

მოცემულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხა-  
რის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი გო-  
ნივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, ბრალდებულის მიერ და-  
ზარალებულების ადევნებაში დამნაშავედ ცნობისთვის და მის  
მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად შემდეგი გა-  
რემოებების გათვალისწინებით:

კერძოდ, ბრალდებულის მიერ დაზარალებულების მიმართ სა-  
ვარაუდო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებასთან

<sup>24</sup> იხ.: <https://rm.coe.int/1680464e72>

<sup>25</sup> თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განაჩენი, რომელიც  
უცვლელად ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლო.

დაკავშირებით, ბრალდების მხარემ სასამართლოში წარადგინა მხოლოდ თავად დაზარალებულების თითო-თითო პირდაპირი ჩვენება, რაც კანონის მიხედვით არასაკმარისია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად და ამასთან, ერთი დაზარალებული მეორე დაზარალებულის დანაშაულებრივ ეპიზოდში არის ირიბი მოწმე, რაც ასევე, უტყუარ მტკიცებულებად ვერ იქნა მიჩნეული.

ამასთან, განაჩენში სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დაზარალებულის ჩვენებაში შეინიშნებოდა „ფაქტების გაზვიადების მომენტები“. მაგალითად, დაზარალებულის ჩვენებით: 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის თებერვლამდე პერიოდში, ბრალდებული, როგორც კი მას დაინახავდა, მისკენ სახით დგებოდა, ჩაიხდიდა და სასქესო ორგანოს აჩვენებდა, მოკიდებდა ხელს და რაღაც მოძრაობებს აკეთებდა. ეზოში ხშირად უწევდა გასვლა, ბრალდებული კი, მისი სახლის პირდაპირ ცხოვრობს – გზის გადაღმა და უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც უწევდა შეხედვა. მთავარი იყო ბრალდებულს დაენახა იგი ეზოში გასული ან ფარდა გადაეწია, სიცხეს ან სიცივეს არ ჰქონდა მნიშვნელობა, თვითონაც მამინვე გარეთ გამოიდიოდა. სასამართლოს შეფასებით, „რომელ სიცხეზეა საუბარი დეკემბრის მეორე ნახევრიდან თებერვლამდე, აღნიშნულ რეგიონში, ბუნდოვანია“. ასევე, ის გარემოება, რომ დაზარალებულის გადმოცემით ერთხელ დაინახა თუ როგორ მიჰყვებოდა ბრალდებული, რამაც მასში შიში გამოიწვია და ეს კი მაშინ, როდესაც ბრალდებული არც კი მიახლოებია და გასაუბრებია მას. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისთვის აუხსნელია, თუ რამ გამოიწვია დაზარალებულში ისეთი შიში, რომ ის იძულებული გამხდარიყო თავდაცვის მიზნით დაეწყო დანით სიარული და ასევე საწოლშიც კი შეენახა იგი, მით უფრო მაშინ, როდესაც ბრალდებული დაზარალებულს არასდროს დამუქრებია, არც შეუშინებია და არც სხვა მხრივ წარმოადგენდა მისთვის საშიშროებას. სასამართლომ დასძინა, რომ „იგივეს თქმა შეიძლებოდა იმ ტანკვაზეც, რომელსაც დაზარალებული განიცდიდა, რომელიც თუ ასეთი მაღალი ხარისხის იყო, როგორსაც დაზარალებული სხდომაზე გადმოსცემდა, რატომ მანამდე არ მიმართა შესაბამის ზომებს და თუკი ეს ყოველდღიურად,

დღეში რამდენჯერმეც ხდებოდა, აღნიშნული მით უფრო გასაკვირია“.

რაც შეეხება მეორე დაზარალებულს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მან, როგორც ჩანს ჯ. ბ-სთან (მეორე დაზარალებული) კომუნიკაციისას უფრო მეტად მაქცია ყურადღება ბრალდებულის ქცევას, ვინაიდან სწორედ მასთან საუბრისას აღნიშნა, რომ მასაც ჰყავდა შემჩნეული ბრალდებული გენიტალიების ჩვენებაში. სასამართლომ აღნიშნული საკითხის მსჯელობისას განმარტა, რომ „თუ ამ ჩვენების პათოსს გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ დაზარალებული დიდად შეწუხებული არ ჩანდა აღნიშნულით და მისი თქმით, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გადიოდა სახლიდან და ამის გამო ვერ შეიზღუდავდა თავს“.

ამასთან, სასამართლოს თქმით, თუ მოხდებოდა იმის დაშვება, რომ ბრალდებული ეზოში უბრალოდ შარდავდა,<sup>26</sup> მაშინ შესაძლოა სწორედ აღნიშნული ქმედება ყოფილიყო დაზარალებულების მხრიდან სხვაგვარად აღქმული, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის მოქმედებები, რაზეც დაზარალებულები მიუთითებენ არაკონკრეტიზირებული და ბუნდოვანია და ასევე, იმ დისტანციის მხედველობაში მიღებით, რაც სავარაუდოდ იყო ბრალდებულსა და დაზარალებულებს შორის, შესაძლოა პრობლემა გამხდარიყო აღქმის ნაწილში. ყოველ შემთხვევაში ვერც ერთმა დაზარალებულმა ვერ დააკონკრეტა თუ რა მოქმედებებზე იყო საუბარი.

საქმეში ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებული იმ მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებსაც ბრალდებულთან სისტემატური ურთიერთობა ჰქონდათ და რომლებიც გამორიცხავდნენ მის რაიმე გადახრას ან აგადმყოფობას. ამასთან, არც ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ გამოავლინა მსგავსი ხასიათის გარემოებები.

სასამართლომ საკითხის მსჯელობისას მიუთითა ადევნების

<sup>26</sup> ბრალდებული თავადაც არ უარყოფდა, რომ გარეთაც მოუშარდავს, ხოლო ბრალდებულის დედა ჯერ კიდევ გამოძიებისას მიუთითებდა ბრალდებულის გახშირებულ შარდვასთან დაკავშირებით.

კრიმინალიზაციის საკითხე და ასევე, ადმინისტრაციულ სა-მართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლითაც სამართალდარღვევად ითვლება სექსუალური შევიწროვება.

კერძოდ, სასამართლომ თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა ადევნების კრიმინალიზაციის საკითხზე, რაც პირდაპირ უკავშირდება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის (ე. წ. სტამბოლის კონვენცია), რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2017 წლის 5 აპრილს. „კანონის განმარტებით ბარათში პირდაპირა მითითებული, რომ სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლის (ადევნება – Stalking) შემოტანა სტამბოლის კონვენციის 34-ე (ადევნება) მუხლიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ სხვა პირის მიმართ მუქარის შემცველი განზრახი არაერთგზისი ქმედება, რომელიც იწვევს შიშის მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, იყოს კრიმინალიზებული“. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის განმარტებით ანგარიშს, რომლის მიხედვითაც, ადევნება გულისხმობს განზრახ არაერთგზის მუქარას მეორე პირის მიმართ, რაც მასში ინვევს შიშის შეგრძნებას საკუთარ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ასეთი ქცევა შეიძლება გულისხმობდეს სხვა პირის მუდმივად ადევნებასა და თვალთვალს; პირთან კომუნიკაციას, რომელსაც ამის სურვილი არა აქვს; ან შეტყობინებას, რომ მას უთვალთვალებენ. ეს ასევე შიძლება მოიცავდეს პირის ფიზიკურ ადევნებას; დახვედრას სამუშაო ადგილას, სპორტულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ასევე ვირტუალურ სამყაროში მიღევნებას (სოციალურ ქსელებში და ა. შ.). არასასურველ კომუნიკაციაში ჩართვა გულისხმობს ნებისმიერი აქტიური კონტაქტის ძიებას დაზარალებულთან ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. გარდა ამისა, საფ-

რთხის შემცველი ქცევა შეიძლება მოიცავდეს პირის ქონების განადგურებას, პირად ნივთებზე უცნაური კვალის დატოვებას, რომელიც უკავშირდება დაზარალებულის შინაურ ცხოველებს ან ცრუ იდენტობის გამოყენებას ან არასწორი ინფორმაციის გავრცელებას. ამასთან, ნებისმიერი ასეთი აქტი უნდა განხორციელდეს განზრახ, დაზარალებულში შიშის გამოწვევის მიზნით (იხ.: 182-184-ე პუნქტები).

რაც შეეხება სექსუალურ შევიწროებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2019 წლის 3 მაისს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, კოდექსს დაემატა 166<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც სამართალ-დარღვევად ჩაითვალა სექსუალური შევიწროება (sexual harassment), რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შეღახვს და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შეგლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. იმავე მუხლის შენიშვნის მიხედვით, სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა. აღნიშნული ცვლილების საჭიროებაც სტამბოლის კონვენციას უკავშირდება და რომლის განმარტებით ანგარიშშიც ნათქვამია, რომ სექსუალური შევიწროების განხორციელების ხერხები მრავალფეროვანია და მოიცავს ქცევის სამ ძირითად ფორმას: დაზარალებულისთვის არასასურველ სექსუალური ხასიათის სიტყვიერ, არასიტყვიერ და ფიზიკურ ქცევას. სიტყვიერი მოიცავს სიტყვებს ან ხმებს, რომელსაც გამოთქვამს/გამოცემს დამნაშავე, როგორიცაა ხუმრობები, კითხვები, შენიშვნები და შეიძლება გამოიხატოს ზეპირად ან წერილობით; არასიტყვიერი მოიცავს ყველაფერს გარდა ხმისა და სიტყვებისა, მაგალითად, სახის სხვადასხვა გამომეტყველება, ხელის მოძრაობები ან სიმბოლოები; რაც შეეხება ფიზიკურს, იგი მიემართება დამნაშავის ნებისმიერი სახის სექსუალურ ქცევას და შეიძლება მოიცავდეს დაზარალებულის სხეულთან შეხებასაც. ყველა შემთხვევაში, აღნიშნული უნდა იყოს სექსუალური ხასიათის და დაზა-

რალებულისთვის არასასურველი. ამასთან, იგი უნდა ისახავდეს მიზნად ან იწვევდეს დაზარალებულის ღირსების შელახვას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავის ქმედება ქმნის მტრულ, დამაშინებელ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ან არასასურველ გარემოს (იხ.: 208-ე პარაგრაფი).

სტამბოლის კონვენციის შესაბამისი დებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვის შემდგომ, მოსამართლემ ერთგვარი შემაჯამებელი ანალიზი გააკეთა და აღნიშნა, რომ „შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ ბრალდებულის ქმედები, თუკი დაზარალებულების ჩვენებებს გავიზირებთ, უფრო მეტად წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 161<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ სამართლდარღვევას – სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს – ადგვნებას. სხვათა შორის, სტამბოლის კონვენციის განმარტებებიც იმავეზე მიუთითებს. ის, რაც ბრალდებულის ბრალდების შესახებ დადგენილებაშია აღნიშნული განსაკუთრებით, ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, თანხვედრაში მოდის სასკ-ის 166<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობასთან – საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, ხოლო ის, რასაც დაზარალებულის განცხადებით ბრალდებული აკეთებდა, აღწერილია ამავე მუხლის შენიშვნაში – სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა გენიტალიერის ჩვენება ან/და სექსუალურ ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა, რაშიც შეიძლება მოვიაზროთ ის გაურკვეველი ქმედებები, რომლებსაც დაზარალებულების თქმით, ბრალდებული შარვლის ჩახდის შემდეგ აკეთებდა. მით უმეტეს, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მხოლოდ სასქესო ორგანოს ჩვენებაზეა საუბარი. ბუნებრივია, მოცემულ საქმეში, ურთულეს საკითხს წარმოადგენს ბრალდებულის განზრახვის (ძირითადად, პირდაპირი განზრახვა იგულისხმება) დადგენა, რისი დადასტურებულად, უტყუარად აღწერაც შეუძლებელია. ამასთან, გამორიცხულია, ადმინისტრაცი-

ული სამართალდარღვევის სისტემატურობაშ განსაზღვროს ქმედება დანაშაულია თუ სამართალდარღვევა, ვინაიდან სამართალდარღვევათა განმეორებითობა თავისთავად ვერას-დროს განაპირობებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, ვერ გარდაიქმნება დანაშაულად და ყოველ ჯერზე იქნება სამართალდარღვევა. ეს წესი გამოიყენება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში მითითებული იქნება განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, მაგალითად, როგორც სასკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობაა განსაზღვრული. ამ მუხლის მიხედვით, დანაშაულია მცენარე კანაფის ან მარიხუანას მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან/და გადაგზავნა – ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსის 45<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, ადმინისტრაციული სახდელშეფარდებული პირის მიერ. ამ შემთხვევაშიც, საჭიროა პირი იყოს სახდელშეფარდებული და შემდეგ ჩაიდინოს იგივე ქმედება და არა ზოგადად, ორი სამართალდარღვევა მიიჩნევა დანაშაულად“.

სასამართლო სილრმისეულად შეეხო ადევნებისა და სექსუალური შევიწროების შემადგენლობის რამდენიმე ნიშანს და პარალელი გაავლო მის წინაშე არსებული საქმის გარემოებებთან. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ „სასკ-ის 166<sup>1</sup> მუხლის მიზნებისთვის, საზოგადოებრივ ადგილად ასევე, უნდა მოვიაზროთ იმგვარი ადგილი, რომელზეც საზოგადოებას ხელმისაწვდომობა აქვს. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის ეზო, რომლის დანახვაც შესაძლებელი იყო, როგორც ერთი დაზარალებულის, ისე მეორის სახლიდან და ზოგადად, გზიდან, სწორედ ასეთ ადგილად მიიჩნევა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ უკვე განსაზღვრა სისტემატურობის საკითხის არაპრობლემურობა ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევის კონტექსტში. რაც შეეხება ბრალდებულის ქმედებამ გამოიწვია თუ არა დაზარალებულთა ფსიქიკური ტანჯვა, ეს კითხვა პასუხგაუცემელია, იქედან გამომდინარე, რომ ზოგადად, კონკრეტული გარემოებები სასამარ-

თლომ ვერ დაადგინა, თანაც ფსიქიური ტანჯვის შეფასება მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური განცხადებების ფონზე იყო შესაძლებელი, რაც ასევე, ბევრ კითხვას აჩენს. გარდა ამისა, თუ ასეთს (ფსიქიურ ტანჯვას) ადგილი ჰქონდა, ბრალდებულის ქმედება თითოეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ამ კონტექსტში კი, კიდევ უფრო მეტი კითხვა გაჩნდება ტანჯვის გამოწვევასთან დაკავშირებით. იგივე მოცემულობაა ადევნების შემადგენლობის შემდეგ ნიშანზე – ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას ქმნის. ბუნებრივია, რაც აღწერილია სექსუალური შევიწროების დისპოზიცია, მარტივად შესაძლებელია თავისითავად შექმნას ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროება, რაც ვერ იქნება ქმედების აუცილებლად დანაშაულად მიჩნევის საფუძველი ანუ იდენტური მოცემულობაა სამართალდარღვევის შემთხვევაშიც. ამ მხრივ, ძნელია იმ მიჯნის გავლება, რომელიც ქმედებას აქცევს ადევნებად ან სექსუალურ შევიწროებად, ამიტომ ამ ორს შორის განსხვავების განმსაზღვრელი სხვა ელემენტებია.

ამდენად, სასამართლოს შეფასებით „ის, რაც შეიძლება იყოს ერთი დარგის პასუხისმგებლობის საგანი, ვერ გახდება მეორესი, თუკი არ იარსებებს განჭვრეტადი საკანონმდებლო ბაზა ამ თვალსაზრისით, რაზეც სასამართლომ ზევით უკვე ისაუბრა. თანაც, შინაარსობრივად მკაფიო მიჯნის გავლა იმ სიტუაციას, რაც ბრალის დადგენილებაშია ასახული და ადევნების შემადგენლობას შორის, შესაძლებელია სტამბოლის კონვენციის მე-40 მუხლისა და ასკ-ის 166<sup>1</sup> მუხლის გაანალიზების შედეგად“.

ზემოაღნიშნული ვრცელი მიმოხილვისა და ანალიზის შემდეგ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეზე არ მოიპოვებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ბრალდებულის სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განჩენის გამოტანისათვის.

სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ძირითადად, ადევნე-

ბის მსხვერპლს წარმოადგენს ქალი და ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედება შეიძლება განპირობებული იყოს გენდერული მოტივით (სტამბოლის კონვენცია ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო კონვენციაა, სადაც მოცემულია გენდერის განსაზღვრება. კერძოდ, „გენდერული გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს“). მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში იყო რამდენიმე საქმე, სადაც იკვეთებოდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული მოტივის მიმანიშნებელი გარემოებები, თუმცა, სასამართლოს იგი დამამძიმებელ გარემოებად არ მიუჩნევია. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში<sup>27</sup> პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ბრალდებული ყოფილ მეუღლესთან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, სისტემატურად ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას ტელეფონის გამოყენებით და პირადი შეხვედრებით. მსჯავრდებული მუდმივად აკონტროლებდა ნ. ბ.-ს ტელეფონში მოკლე ტექსტურ შეტყუბინებებს – თუ ვისთან ჰქონდა მას კომუნიკაცია, სისტემატურად უთვალთვალებდა, ამონმებდა ნ. ბ.-ს სახლსა და სამსახურში ყოფნას. მსხვერპლის მიმართ სისტემატურად ეჭვიანობდა, უბნებოდა, რომ იყო ქალი და ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მას, როგორც მამაკაცს სურდა. ასევე, მსჯავრდებული ყოფილ მეუღლეს მუდმივად ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით და იმ მამაკაცის მოკვლით, ვისთანაც მას ექნებოდა ურთიერთობა. ამ საქმეში სასამართლომ გენდერული მოტივი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემობად არ მიიჩნია, შესაბამისად, განაჩენში არ არის მოხმობილი არც სტამბოლის კონვენციის შესაბამისი განმარტება გენდერთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, სანიმუშო მაგალითად, შეგვიძლია განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მი-

<sup>27</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 27 სექტემბრის განაჩენი №1ბ/1303-19, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი №1ბ/1472-19.

ერ მიღებული განაჩენი ერთ-ერთ საქმეზე,<sup>28</sup> რომელშიც სასა-მართლომ გამოკვეთა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული მოტივი და იგი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნია. აღნიშნულ განაჩენში საკ-მაოდ ვრცელი მსჯელობა ეთმობა სწორედ გენდერული ნიშ-ნით დისკრიმინაციას სტამბოლის კონვენციასა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებებზე დაყრდნობით. კერ-ძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ: „ფაქტების და მტკიცებუ-ლებების ერთიანი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა დანა-შაულის მოტივი, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია. აღნიშნული ფაქტი დასტურდება დაზარალე-ბულის გამოკითხვის ოქმებით. დაზარალებული არაერთგზის აღნიშნავს, რომ ბრალდებული სისტემატურად აყენებდა სიტ-ყვიერ შეურაცხყოფას, ეჭვიანობდა, ყველა ნაცნობ მამაკაცს უწყდებდა მის საყვარელს, უზღუდავდა სახლიდან თავისუფ-ლად გასვლას, უზღუდავდა და უკრძალავდა მეგობრებთან შეხვედრას, არ აძლევდა ტანისამოსის თავისუფლად შერჩე-ვისა და ჩატარდა საშუალებას, უზნებოდა, რომ იყო მისი ცო-ლი, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, უუფლებოდა მას უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა. დანაშაულის მოტივი – გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცა ასე-ვე, დადასტურდა მოწმეთა გამოკითხვის ოქმებით და ბრალ-დებულის მხრიდან ბრალის აღიარებით“.

მოცემულ საქმეში სასამართლომ მხედველობაში მიიღო სტამ-ბოლის კონვენციის 46-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს და-მამდიმებელ გარემოებებს: ა) დანაშაული ჩადენილი იყო ყოფი-ლი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება; ბ) და-ნაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილი იქ-ნა არაერთხელ; გ) დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რო-მელიც გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადია; დ) დანა-

<sup>28</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენი №1/2005-19.

შაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით; ე) დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად; ვ) დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა; ზ) დანაშაული ჩადენილი იყო იარაღით ან იარაღის მუქარის გამოყენებით; თ) დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს; ი) დამნაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლევი მსგავსი ხასიათის დანაშაულისთვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ: „განსახილველ შემთხვევაში აშკარად გამოვლინდა გენდერული ნიშნით შეუწყისარებლობის და დისკრიმინაციის მოტივი. გამოიკვეთა ბრალდებულის დამოკიდებულება რვახის წევრი ქალის მიმართ, იგი მსხვერპლს სოციალური იერარქიით თავისზე დაბლა მდგომ, უუფლებო სუბიექტად განიხილავდა, რომლის ცხოვრების წესის, ჩაცმის, ქცევისა და ზოგადად, ცხოვრების მიმართულების და ინტერესების განსაზღვრა, მხოლოდ მას, როგორც ქმარს შეუძლია. სწორედ ამით არის განპირობებული მისი დაუიკებელი სურვილი აკონტროლოს დაზარალებული, განუსაზღვროს ცხოვრების პრიორიტეტები, დაუწესოს სოციალური და ყოფითი შეზღუდვები. დანაშაულის მოტივი მიუთითებს ბრალდებულის განსაკუთრებულ საშიშროებაზე რვახის წევრის, ქალი-მეუღლის მიმართ, ბრალდებულის მცდარი სტრეოტიპული განწყობები წარმოადგენს სამომავლო საფრთხეებს რვახში ძალადობის გაგრძელების კუთხით. ამდენად, სამომავლო რისკების და ჩადენილი დანაშაულის მოტივის საპასუხოდ, მოძალადეს უნდა განესაზღვროს ადეკვატური და კერძო პრევენციის მატარებელი სანქციები.“

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია რა, დანაშაულის მოტივად გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, აღნიშნული გარემოება მიიღო მხედველობაში მოძალადისთვის ადეკვატური სასჯელის განსაზღვრისას: „აღნიშნული მოტივით დანაშაულის ჩადენა სასამართლოს გონივრულად აფიქრებინებს, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულ ნიადაგზე სამომავლოდაც შეიძლება გაგრძელდეს დანაშაული. ის, რომ ბრალდებულს დანაშაულში მხილების შემდეგ არ დაურღვევია შემაკავებელი ორდერით გათვალისწი-

ნებული ვალდებულება, არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ გარემოებას, როგორც ამას დაცვის მხარე მიიჩნევს. სასამართლოს შეფასებით, სწორედ შემაკავებელი ორდერის გამოცემის აუცილებლობა ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ის, რომ ბრალდებულს ჰყავს სამი არასრულწლოვანი შვილი, ვერ გახდება მსუბუქი სასჯელის განსაზღვრის საფუძველი პირიქით, დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანთა თანდასწრებით პირის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს და ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია შეფასდეს მოძალადის და დანაშაულის თვითმხილველი ბავშვების თანაცხოვრების საკითხი. სასამართლოს შეფასებით, რომელიც ეყრდნობა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს ბავშვების საუკეთესო ინტერესებისათვის, აუცილებელია მოძალადის დროებითი იზოლაცია და განრიდება ბავშვებისგან.“

ზემოაღნიშნული განაჩენი გამოირჩევა დანაშაულის მოტივად – გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე სიღრმისეული მსჯელობით, მასში არამხოლოდ ციტირებულია სტამბოლის კონვენციის შესაბამისი დებულებები, არამედ გაკეთებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით რელევანტური ანალიზი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია სასამართლომ განაჩენში მკაფიოდ გამოყოროგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და ასახა სასჯელის გამოყენების დასაბუთების ნაწილშიც.

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა განაჩენებმა გამოავლინა, რომ არაერთგვაროვანია დამამძიმებელი გარემოებების გამოკვეთის პრაქტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო უთითებს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იმას, რომ დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც აღნიშნულზე სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში<sup>29</sup> იკვეთებოდა, რომ ბრალდებუ-

<sup>29</sup> ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის განაჩენისაქმეზე №1-304/18.

ლი იყო ადმინისტრაციული წესით სახდელდადებული შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო, თუმცა, სასამართლოს აღნიშნული არ მიუღია მხედველობაში როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. ერთ-ერთ საქმეში<sup>30</sup> დაზარალებული აცხადებდა, რომ ბრალდებული ემუქრებოდა მას ჯანმრთელობის დაზიანებით და ასევე, შვილებისადმი სექსუალური ძალადობით. მოძალადე ფსიქოლოგიურ ტანჯვას აყენებდა მსხვერპლის შვილებსაც, რის გამოც მათ ფსიქოლოგიური დახმარება დასჭირდათ. ამ საქმეში სასამართლომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინა მხოლოდ ახალი, განზრახი დანაშაულების ჩადენა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში.

სტამბოლის კონვენციის 45-ე მუხლის თანახმად, კონვენციით დადგენილი დანაშაულები, მათ შორის, ადევნება, უნდა ისჯებოდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი გავლენის მქონე სანქციების საშუალებით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში<sup>31</sup> სასამართლომ სტამბოლის კონვენციისა და გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების – X და Y საქართველოს წინააღმდეგ, მოხმობის მიუხედავად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულს უნდა შეფარდებოდა არასაპატიმრო სასჯელი. კერძოდ, სასამართლომ მსჯელობა განავითარა შემდეგნაირად: „პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები სახელმწიფოს დახმარებას არ სთხოვენ, ვიდრე მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მათთვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება. ამ კონდიციამდე მისვლას კი, ხშირად ხელს უწყობს ნათესავებისა და ოჯახის წევრების გარემო, რომლებიც ზეწოლას ახდენდნენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე. ხშირად, მსხვერპლის თავისუფალი

<sup>30</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის განაჩენი საქმეზე №1/654-19.

<sup>31</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 ივლისის განაჩენი საქმეზე №1/565-19.

ნება პარალიზებულია მრავალი ფაქტორით. კერძოდ, სიყვარულით განპირობებული მიმტევებლობის, ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების რეაგირებისა თუ მოძალადის მიმართ შიშის, შვილების ან საცხოვრებელის დაკარგვის საფრთხის გამო, ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და შედეგებიც მათ ჯანმრთელობაზე აისახება. მსხვერპლის და მისი შვილების უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და შესაძლოა, ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე, როდესაც მათ როული სოციალურ-ეკონომიკური პირობების, შიშის თუ პრობლემის სერიოზულობის არასათანადო აღქმის გამო უხდებათ კონფლიქტურ სიტუაციაში დაპრუნება და თითქოსდა, საკუთარი ნებით უარს ამბობენ გაერიდონ ძალადობრივ გარემოს.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელების პასუხისმგებლობა გონივრულობის ფარგლებში, სახელმწიფოს ეკისრება.

აღსანიშნავია, გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №24/2009), რომელიც საერთაშორისო ორგანოს მიერ საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ მიღებული პირველი გადაწყვეტილებაა და ეხება სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობას. ხსენებული გადაწყვეტილებით კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის (ბ)-(ვ) პუნქტები, პირველ და მე-5 (ა) მუხლებთან და კომიტეტის ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ N R19 რეკომენდაციასთან ერთობლიობაში და გარდა მომჩივანთა დარღვეული უფლებების აღსადგენი კონკრეტული ნაბიჯების მითითებისა, საქართველოს მთავრობას მიმართა რეკომენდაციით სხვა ქალებისა და ბავშვების დასაცავად გააძლიეროს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები და ქალთა მიმართ ძალადობასთან, უფრო კონკრეტულად, ოჯახში ძალადობასთან მიმარ-

თებით გაატაროს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა. ამასთან, სახელმწიფოს დაევალა 6 თვის ვადაში კომიტეტისათვის წერილობითი პასუხის წარდგენა და ინფორმაციის მიწოდება კომიტეტის დასკვნებისა და რეკომენდაციების ფონზე განხორციელებული ნებისმიერ ქმედებებზე.

სასამართლო სასჯელის დანიშნისას, ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივს და მიზანს, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმდებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მისი განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს, წარსულ ცხოვრებას. ამდენად, დამნაშავეთა რესოციალიზაციისა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმეში გამოკვლეულ პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით, ბრალდებულს უნდა დაენიშნოს შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული არასაპატიმრო სასჯელი – ჯარიმის სახით.<sup>32</sup>

ზემოაღნიშნული საქმისგან განსხვავებით, სხვა საქმეში<sup>33</sup> სასამართლომ სასჯელის შეფარდების საკითხზე მსჯელობისას, მოიხმო სტამბოლის კონვენცია და მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ უნდა გამოყენებულიყო საპატიმრო სასჯელი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: „ბრალდებულის კანონის შესაბამის ქცევას სასამართლოში საქმის განხილვისას და ასევე იმას, რომ ბრალდებულის მიერ განხორციელებულმა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა ქმდებამ გამოიწვია დაზარალებულის მშვიდ გარემოში ცხოვრების უფლების დარღვევა, რისი გათვალისწინებითაც, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, შემდგომი პრევენციის მიზნით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ბრალდებულის მიმართ იმგვარი სასჯელის გამოყენებას, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბრალდებულის შემდგომ ნორმა-

<sup>32</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 ივლისის განაჩენი საქმეზე №1/565-19.

<sup>33</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მაისის განაჩენი საქმეზე №1/5270-18.

ლურ ქცევას, ხოლო მეორე მხრივ, ახალი დანაშაულის თავი-დან აცილებასა და დამნაშავეთა რესოციალიზაციას.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოფახური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) კი მის მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს, განახორციელონ ქალების მიმართ ძალადობის პრევენცია, დაიცვან მსხვერპლი და დასაჯონ დამნაშავე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩინა ბრალდებულის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება, შესაბამისად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს.<sup>34</sup>

დამატებით, საქმეთა შესწავლამ აჩვენა ისიც, რომ სასამართლები საკმაოდ ხშირად განაჩენის დასაბუთების ნაწილში მოიხმობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) განმტკიცებულ გარანტიებთან დაკავშირებით არსებულ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ძირითადად, შეგვხვდა შესაბამისი საქმეებიდან ციტირებები გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტზე და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, ბრალდებულის უფლებაზე საკუთარი ნებით უარი თქვას საქმის არსებით განხილვაზე. მაგალითად, ერთ-ერთ განაჩენში<sup>35</sup> სტრასბურგის პრეცედენტუ-

<sup>34</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მაისის განაჩენი საქმეზე №1/5270-18.

<sup>35</sup> ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის განაჩენი საქმეზე №1/264-2018.

ლი სამართალი მიმოხილულია შემდეგნაირად: „სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აქვს აღნიშნული, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, თუმცა, აღნიშნული მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. ეს უკანასკნელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივაა, ხოლო ევროპული სასამართლოს ფუნქცია, მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასება (იხ.: საქმე ფრამკინი რუსეთის წინააღმდეგ (*Frumkin v. Russia*), განაცხადი no. 74568/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 159). ამასთან, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები ან განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (ბულიჩევი რუსეთის წინააღმდეგ (*Bulychev v. Russia*), განაცხადი no. 24086/04, (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება პუნქტი 32).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (2014 წლის 24 აპრილი, განაცხადი no. 9043/05, პარ. 91) განმარტა: იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, აღნიშნული განხორციელდეს აშკარა და არაორაზროვანი ფორმით და ასევე, უზრუნველყოფილი იყოს დაცვის მინიმალური გარანტიები. გარდა ამისა, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს (აგრეთვე, იხ.: სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, პარ. 135-136, *Scoppola v. Italy*, (no.2) [GC], no. 10249/03, 17.09.09; პოტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ, პარ. 31, *Poitrimol v. France*, 23 November 1993, Series A no. 277-A; *hermi italiis winaaRmdeg, par. 73, Hermi v. Italy* [GC], no. 18114/02, ECHR 2006 XII).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი თავის თავში გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას ან წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას უტყუარი და საქმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.“

ზემოაღნიშნული მიმოხილვის შემდეგ, სასამართლო მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

„სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ოპირეტურად შეისწავლა და გაანალიზა რა, სასამართლოს მიერ გამოკვლეულიდა გამოკვლევის გარეშე მიღებული პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნულ ეჭვის გამომრიცხავ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, დადასტურებელია თ. თ.-ის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა. ამასთან, სასამართლოს მიაჩინა, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.“<sup>36</sup>

<sup>36</sup> ზესაფაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის განაჩენისაქმეზე №1/264-2018.

საერთაშორისო სტანდარტების ასახვის პრაქტიკის მაჩვენებელი (2017, 2018-2019 წლის 10 თვის მონაცემების მიხედვით):<sup>37</sup>

სასამართლო	„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)	სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლი ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით	„ქალთა წინააღმდეგ ლისკომინციას ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენცია (CEDAW)
ზუგდიდის რაიონული		2	
რუსთავის საქალაქო		1	
თბილისის საქალაქო	6	15	1
ზესტაფონის რაიონული		3	
თეთრიწყაროს რაიონული	1		
ქუთაისის საქალაქო		1	
თბილისის სააპელაციო	2	3	
ქუთაისის სააპელაციო	2		

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ეროვნული სა-სამართლოები ყველაზე ხშირად, გადაწყვეტილებების დასაბუ-თების ნაწილში მოიხმობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო გან-ხილვის უფლება) გათვალისწინებულ გარანტიებთან დაკავში-რებულ სტრასბურგის სასამართლოს შესაბამის პრეცედენ-

<sup>37</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე განაჩენში მითითებული იყო რამდენიმე საერთაშორისო სტანდარტი.

ტულ საქმეებს. რაც შეეხება სტამბოლის კონვენციის დებულებების განაჩენებში ასახვის პრაქტიკას, ამ მხრივ მაჩვენებელი დაბალია, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მაჩვენებლის ზრდის კონტექსტში, 2019 წელს შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციებიც.

კვლევამ აჩვენა, რომ საერთაშორისო სტანდარტების მოხმობის სიხშირით გამოიჩინება თბილისის საქალაქო სასამართლო. რაც შეეხება სხვა პირველი ინსტანციების სასამართლოებს, სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ციტირებები შეგვხვდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, აგრეთვე, ზუგდიდის, თეთრიწყაროსა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოების განაჩენებში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მათი ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებში გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

სასამართლო საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოყენებულმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართლმა შეიძლება ითქვას, რომ ნაკლები გავლენა იქონია სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. უმეტესწილად, სასამართლოებს ადვენებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, ციტირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით არსებული სტრასბურგის პრეცედენტული გადაწყვეტილებებიდან შესაბამისი ამონარიდები, რითაც ხაზს უსვამენ სამართალწარმოების სამართლიანად წარმართვის გარანტიებს, თუმცა, ამ მხრივ სიღრმისეულ მსჯელობას სასამართლოები აღარ ავითარებენ (მათ შორის, კონკრეტულ საქმეში მისი მოშველიების საჭიროებას) და შემოიფარგლებიან მხოლოდ სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებებიდან შესაბამისი პუნქტების ციტირებით.

რაც შეეხება, კონკრეტულად სტამბოლის კონვენციის შესაბა-

მისი დებულებების ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახვის პრაქტიკას, ამ მხრივ გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღო სტამბოლის კონვენციის შესაბამისი დებულებები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ არამოლოდ მოახდინა ციტირება საერთაშორისოსამართლებრივი აქტის, არამედ კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, სილრმისეულად გაანალიზა და ასახვა ჰპოვა სასჯელშიც, რაც მისასალმებელია და ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკის განვითარებას ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე. თუმცა, პრაქტიკაში იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტამბოლის კონვენციიდან ციტირებულმა ამონარიდებმა გადაწყვეტილებაზე ნაკლებად იქონია გავლენა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისოსამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება სულ შესწავლილ განაჩენთა დაახლოებით, 30%-ში შეგვხვდა, აქედან კონკრეტულად, სტამბოლის კონვენციის მოხმობა დაფიქსირდა განაჩენთა 10%-ში, რაც შეიძლება ითქვას, რომ დაბალი მაჩვენებელია.

საქმეთა შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, რეკომენდებულია ეროვნულმა სასამართლოებმა ადევნების შესახებ საქმეთა განხილვისას მხედველობაში მიიღონ სტამბოლის კონვენციის 34-ე (ადევნება, 46-ე (დამამძიმებელი გარემოებები) და 45-ე (სანქციები და ზომები) მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტები, რის შედეგადაც უზრუნველყონ ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი გავლენის მქონე სანქციების შეფარდება.

## საერთო სასამართლოების მიერ განხილული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევის და ანალიზის ცენტრის მიერ საერთო სასა-

მართლოებიდან გამოთხოვილ იქნა იმ განაჩენთა ასლები,<sup>38</sup> სა-დაც ფიგურირებდა სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ადევნება.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2017 წლის მაისიდან (სისხლის სამართლის კოდექსში მუხლის ასახვა სწორედ 2017 წლის 4 მა-ისს მოხდა) 2019 წლის ოქტომბრის პერიოდს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტო-რის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქალა-ქო/რაიონული სასამართლოებიდან, საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, გამოთხოვილ იქნა 73 განაჩენი, თუმცა კვლევის ფარგლებში გაანალიზდა – 67, რადგან 6 საქმე თბი-ლისის საქალაქო სასამართლომ განიხილა დახურულ სასამარ-თლო სხდომაზე და შესაბამისად, აღნიშნული განაჩენები არ მოგვეწოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით უნდა ით-ქვას, რომ:

- 2017 წელს, განაჩენის გამოტანით სულ განხილულია 4 საქ-მე (მათ შორის, 1 საქმე განხილულია დანაშაულთა ერ-თობლიობაში, როდესაც 151<sup>1</sup> მუხლი არ არის ძირითადი):

სასამართლო	საქმეთა რაოდენობა
ხელვაჩაური	2
ზუგდიდი	1
სამტრედია	1

<sup>38</sup> ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები და არა მთლიანად სისხლის სამართლის საქმეები.

- 2018 წელს, განაჩენის გამოტანით სულ განხილულია 24 საქმე, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენი კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა მხოლოდ 21 განაჩენი (მათ შორის, 3 საქმე განხილულია დანაშაულთა ერთობლიობაში), რადგან თბილისის საქალაქო სასამართლო სხდომაზე განიხილა:

სასამართლო	საქმეთა რაოდენობა
გურჯაანი	1
ზუგდიდი	2
თბილისი	12
რუსთავი	2
ქუთაისი	2
ხელვაჩაური	2

- 2019 წლის პირველ 10 თვეში, განაჩენის გამოტანით სულ განხილულია 46 საქმე, თუმცა, შესწავლილი იქნა 43 განაჩენი (მათ შორის, 8 საქმე განხილულ იქნა დანაშაულთა ერთობლიობით), რადგან თბილისის საქალაქო სასამართლო 3 საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა:

სასამართლო	საქმეთა რაოდენობა
ახალქალაქი	1
ბათუმი	2
გორი	1
გურჯაანი	1
ზესტაფონი	3
ზუგდიდი	1
თბილისი	28

სასამართლო	საქმეთა რაოდენობა
თეთრიწყარო	1
სენაკი	1
ქუთაისი	2
ხელვაჩაური	2

რაც შეეხება მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობრივ მაჩვენებელს, სადაც ფიგურირებდა სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ადევნება, შემდეგნაირად გამოიყურება:

სასამართლო	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
თბილისის აპელაცია	0	3	13
ქუთაისის აპელაცია	0	2	6

აღსანიშნავია, რომ ორივე სააპელაციო სასამართლომ ყველა შემთხვევაში გარდა ერთისა, უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენები. აღნიშნულ ერთ საქმეში<sup>39</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის სააპელაციო საჩივარი. კერძოდ, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის დამძიმების საკითხი.

წინამდებარე საქმის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ძალადობის, ადევნებისა და მუქარის მუხლებზე, ხოლო ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანება/განადგურების და განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლებზე დადგა გამა-

---

<sup>39</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 22 ოქტომბრის განაჩენისაქმეზე № 1გ/1372-19.

მართლებელი განაჩენი და სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი თანაბარი სასჯელები და და-ნაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მსჯავრდებულს სას-ჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვე-თა 1 წლის ვადით.

პალატამ მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის თა-ნაზომიერების შეფასებისას, ყურადღება გაამახვილა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის კონვენციის) კონვენციის 45-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმა-დაც, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგე-ნილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტურანი, თანაზომიერი და გა-დამარწმუნებელი გავლენის მქონე სანქციების საშუალებით, ამ დანაშაულთა სერიოზულობის გათვალისწინებით. ეს სან-ქციები, სადაც ეს მიზანშენონილია, მოიცავს თავისუფლების აღკვეთას.

თბილისის სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ხასიათი (სიცოც-ხლის მოსპობის მუქარა, რაც გავრცელების მასშტაბებისა და ხასიათის გათვალისწინებით, მომეტებული საშიშროების მა-ტარებელი), ქმედების განხორციელების სახე და ხერხი (დამ-ნაშავე სისტემატურად ახდენდა დაზარალებულთან არასა-სურველი კომუნიკაციის დამყარებას, ემუქრებოდა მას გამნა-რებით და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით. როდესაც იგი ვერ ახერხებდა დაზარალებლთან კომუნიკაციას – უკავ-შირდებოდა ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებს და მათგან მო-ითხოვდა შეეხვედრებინათ დაზარალებული. გარდა ამისა, მსჯავრდებული დაზარალებულის დედას დაემუქრა სახლში ბომბის შეგდებითა და აფეთქებით, რაც მიუთითებს მოძალა-დის პიროვნების საშიშ ხასიათზე), მსჯავრდებულის ქმედება-ში გამოვლენილი მართლსანინაალმდეგო ნება (მისი მტკიცე სურვილი, მისწრაფება დაზარალებულთათვის დაერღვია სიმ-შვიდე, მყუდროება და დაეშინებინა ისინი), მისი პირადი და ეკო-ნომიკური პირობები, დაზარალებულთა პოზიციები. გარდა

ამისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის კანონის შესაბამისი და ეთიკური ქცევა სასამართლო განხილვის დროს, დანაშაულის ჩადენის მოტივი/მიზანი და ასევე, ის გარემოება, რომ დამნაშავის წარსული ცხოვრება არ იძლეოდა მისი უარყოფითად შეფასების საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა დაეთანხმა ბრალდების მხარეს დამნაშავე პირის მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების ნაწილში და ი. მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, სასამართლო მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობდა სასჯელის მიზნების განხორციელებას, იგი გახდებოდა მომავალში მსჯავრდებულის საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის საფუძველი და იქნებოდა დამაფიქრებელი მისთვის, უკეთ გაეცნობიერებინა ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროების, გასაკიცხაობის ხარისხი და გამოწვეული შედეგების სიმძიმე.

## სასჯელები

სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტკუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს.

დანაშაულის ყველა კონკრეტულ შემადგენლობას აქვს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სანქციის ფარგლები. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლით კრიმინალიზებულია ადევნება, რომლის პირველი ნაწილი – პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან

ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმის, სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით, 120-დან 180 საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას, ვადით 2 წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას ან უამისოდ, ხოლო მეორე ნაწილი – თავისუფლების აღვეთას ვადით 2-დან 5 წლამდე და ასევე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას ან უამისოდ.

სასჯელის დანიშვნა სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური იქნება. გარდა ქმედების სწორი კვალიფიკაციისა ანუ სუბსუმციისა და მტკიცებულებების აშკარა, დამაჯერებელ და რელევანტურ ხარისხში შეფასებისა, მნიშვნელოვანია პიროვნების თვის დანიშნული სასჯელი სრულად შეესაბამებოდეს სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნებს და არ ქმნიდეს ზედმეტად ლმობიერი ან პირიქით – ზედმეტად მკაცრი მიდგომის შთაბეჭდილებას.<sup>40</sup>

კანონმდებლის მოთხოვნა სასჯელის დანიშვნის დროს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინების თაობაზე, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად განხორციელებას წარმოადგენს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. ამასთან, სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

<sup>40</sup> იხ.: <http://dgstz.de/storage/documents/ZjYYVc0TDluPxUoWaTVv1X5Ld4GWIpkhzhxHXgp.pdf>

საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კერძო და ზოგადი პრევენციის აუცილებლობაც: კერძო პრევენციის მიზანია მსჯავრდებულის მიერ მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, ზოგადი პრევენცია კი საზოგადოების ფართო მასების გაფრთხილებას ემსახურება, რომ ანალოგიური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მათ მიმართაც რეაგირება იქნება მკაცრი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ძირითად შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩატვალათ პირობით, შესაბამისი გამოსაცდელი ვადით. ამასთან, წინა წლებისგან განსხვავებით, ადგვნებისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ, მხოლოდ 2019 წელს იქნა გამოყენებული ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმა.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები:

2017 წელს, საქალაქო/რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ იქნა 3 საქმე, რომელიც მხოლოდ სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით დაკვალიფიცირდა. სამივე საქმეში ბრალდებულის მიმართ დადგა გამამტუნებელი განაჩენი და მათ მიმართ განსაზღვრული სასჯელი – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა პირობით, შესაბამისი გამოსაცდელი ვადით. ამასთან, 2017 წელს დანაშაულთა ერთობლიობით განხილული იქნა 1 საქმე, სადაც სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული სასჯელი შთანთქაუფრო მკაცრმა სასჯელმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მსჯავრდებულს ადგვნებისთვის განუსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 2018 წელს დამდგარი 21 განაჩენი. მათ შორის, 17 საქმეში დადგა გამამტყუნებელი გა-

ნაჩენი, ხოლო ერთ საქმეში ბრალდებული გამართლდა (აღნიშნულ 17 საქმეში მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელი განესაზღვრა სწორედ სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულიდან გამომდინარე).

### **მსჯავრდებულთა მიმართ განსაზღვრული ძირითადი სასჯელები:**

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით	6
ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაითვალა პირობით, შესაბამისი გამოსაცდელი ვადით	9
სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯლი	1
საზოგადოებისათვლის სასარგებლო შრომა	1

ამასთან, 2018 წელს დანაშაულთა ერთობლიობით განხილული იქნა 3 საქმე, რომელშიც სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული სასჯელი შთანთქა უფრო მყაცრმა სასჯელმა. თუმცა, სამივე საქმეში სასამართლომ მსჯავრდებულს ადევნებისთვის განუსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება 2019 წლის 10 თვის მონაცემებს, პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენის გამოტანით განიხილა 46 საქმე, სადაც ფიგურირებდა ადევნების შემთხვევა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა 43 განაჩენი, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლომ 3 საქმე დასურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა.

აღნიშნული 46 განაჩენიდან, 33-ში მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული ძირითადი სასჯელი განისაზღვრა სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის განკუთვნილი სანქციით. კერძოდ,

**მსჯავრდებულთა მიმართ განსაზღვრული ძირითადი  
სასჯელები:**

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით	9
ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაითვალა პირობით, შესაბამისი გამოსაცდელი ვადით	15
სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაწიწნული სასჯელი	1
ჯარიმა	8

2019 წლის 10 თვის მონაცემებით, სასამართლომ 2 ბრალდებული გაამართლა, რომელიც სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით.

გარდა ამისა, დანაშაულთა ერთობლიობით 2019 წელს განხილული იქნა 8 საქმე. მათ შორის, 1 საქმეში ბრალდებული ადევნების ეპიზოდში გამართლდა, ხოლო 7 საქმეში სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული სასჯელი შთანთქა უფრო მკაცრმა სასჯელმა. თუმცა, აღნიშნულ საქმეებში სასამართლოებმა მსჯავრდებულებს ადევნების ეპიზოდისთვის განუსაზღვრეს შემდეგი სახის სასჯელები:

თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით	3
თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაითვალა პირობით, შესაბამისი გამოსაცდელი ვადით	1
სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაწიწნული სასჯელი	1
ჯარიმა	1
საზოგადოებისათვლის სასარგებლო შრომა	1

შესწავლილი და გაანალიზებული განაჩენებიდან, სასამართლოს მიერ გამოყენებული დამატებითი სასჯელების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

<b>დამატებითი სასჯელები</b>	<b>2017 წ.</b>	<b>2018 წ.</b>	<b>2019 წ.</b>
ჯარიმა	0	1	0
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა	0	0	3
იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა	0	1	5

2018 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კონკრეტულ მუხლებზე სასჯელის კონკრეტული სახე – იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა ამოქმედდა, მათ შორის, ადგვენბასთან მიმართებით. სასჯელის ეს სახე მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით შეიძლება შეეფარდოს დამნაშავეს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.<sup>41</sup>

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ პრაქტიკაში ადგვენებისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ ყველაზე ხშირად დამატებითი სასჯელის სახით გამოიყენება სწორედ იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა. თუმცა, განაჩენებში არ იკითხება აღნიშნული დამატებითი სასჯელის გამოყენების წინაპირობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველს ნარმოადგენს საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

<sup>41</sup> იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დამატებით სასჯელად დანიშვნისას აუცილებელი არ არის, იარაღი დანაშაულის იარაღი იყოს ან დანაშაულის ჩასადენად იყოს გამიზნული.

სასკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით დაკვალიფიცირებულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმებების გაფორმება და შემდგომში, სასამართლოს მიერ მათი დამტკიცება 2017 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა 2018-2019 წლებში საქმეთა მთლიანი რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ:

წელი	საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებლი	შესწავლის საქმეთა მთლიანი რაოდენობა
2017	3	4
2018	3	21
2019	4	43

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად, მსჯავრდებულების მიმართ, უმეტესად (7 შემთხვევაში) პირობითი მსჯავრი იქნა გამოყენებული შესაბამისი გამოსაცდელი ვადით (მათ შორის, ერთ შემთხვევაში პირობით მსჯავრთან ერთად განისაზღვრა დამატებითი სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა).

2017 წლის ერთ-ერთ საქმეში<sup>42</sup> საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა იმ პირის მიმართ, რომელიც წარსულში იყო ნასამართლევი იმავე დაზარალებულის ცემის ფაქტთან დაკავშირებით და ამასთან, განსახილველ საქმეში სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქ/პუნქტით, 126-ე (ძალადობა) მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „დ“ ქ/პუნქტით, 151-ე (მუქარა) მუხლის პირველი ნაწილით და 151<sup>1</sup> (ადევნება) მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის. საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასამართლომ მსჯავრდებულს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სასკ-ის 50-ე მუხლის შესაბა-

---

<sup>42</sup> სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენისაქმეზე №1/211-2017.

მისად, 4 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი.

წინამდებარე მაგალითის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ 2018-2019 წლებში არცერთ ნასამართლევ პირთან არ გაფორმებულა საპროცესო შეთანხმება.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ერთ შემთხვევაში<sup>43</sup> საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელის სახედ განუსაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ხოლო ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე,<sup>44</sup> სადაც ზუგდიდის რაიონული პროკურორი შუამდგომლობდა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და ითხოვდა ბრალდებული დამნაშავედ ცნობილყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> (ადევნება) მუხლის პირველი ნაწილითა და 157<sup>1</sup> (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) მუხლის მეორე ნაწილით. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა და ბრალდებულს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად (უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი), სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელი დარჩა 6 თვე, ხოლო დარჩენილი 4 წელი ჩაეთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით. ამასთან, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, და-

<sup>43</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე № 1-108-18.

<sup>44</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის განაჩენი საქმეზე № 1/6-19.

საბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის არსებოთი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი. იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ვერ ცვლის საპროცესო შეთანხმების პირობებს, სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ყველა შემთხვევაში, მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის სახისა და ზომის კანონიერებასა და სამართლიანობაზე. აღნიშნულზე მსჯელობა შემოიფარგლება საკანონმდებლო დანაწესებზე მითითებით, საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებისა და მტკიცებულებების ხსენებით. ერთ საქმეში, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით მსჯავრდებულს დაეკისრა ჯარიმის გადახდა, მოსამართლემ ბრალდებულის გადახდისუნარიანობის საკითხის შეფასებისას, ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის ქონებრივ შესაძლებლობებზე და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიჩნია პროკურატურის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი კანონიერად და სამართლებრივად.<sup>45</sup>

სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შეფასებისას, სასამართლო რიგ შემთხვევაში, უთითებს ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე.<sup>46</sup>

<sup>45</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის განაჩენი საქმეზე №1/616-18.

<sup>46</sup> მაგალითად, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 აგვისტოს განაჩენი საქმეზე №1/118-19.

## პასუსტების შემამსუბურებელი და დამამდიმებალი გარემოები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს, სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ და დამამდიმებელ გარემოებებს. კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგონებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ. განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში<sup>47</sup> მსჯავრდებულის შემამსუბურებელ გარემოებად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: ბრალდებულმა აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, აგრეთვე, საქმის არსებითი განხილვის დროს, უდავოდ გახადა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას; ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული ბრალდებულის წარსული ცხოვრება, მას არც ანალოგიური ფაქტი და არც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სხვა ქმედება არასოდეს ჩაუდენია; მისი მხრიდან ასევე არ დაფიქსირებულა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი; დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენის შემდეგ ბრალდებულს 8 თვის განმავლობაში ერთხელაც არ უცდია დაზარალებულთან მიახლოვება; გარდა ამისა, საქმეზე ჩატარებული სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შეურაცხადობა). ამდენად, წინამდებარე საქმეში, პასუხისმგებლობის შემამ-

<sup>47</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 იანვრის განაჩენისაქმეზე №1/981-18.

სუბუქებელი გარემოებებისა და ბრალდებულის საპატიმროში გატარებული დროის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო პირობითი მსჯავრის გამოყენების ყველა წინაპირობა.

პრაქტიკაში ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ყურადღებას ამახვილებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებებზე, როგორიცაა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი ახალი დანაშაული<sup>48</sup> და ბრლადებულის წინააღმდეგ გაცემული შემაკავებელი ორდერი.<sup>49</sup> თუმცა, ზოგიერთ განაჩენში იკვეთებოდა შემაკავებელი ორდერის არსებობა, მაგრამ აღნიშნულზე აპელირება არ მოახდინა სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს.

იმის გათვალისწინებით, რომ ძირითად შემთხვევაში, ადევნების მსხვერპლი ქალია და შესაძლოა აღნიშნული ძალადობა უფრო მეტად წარმოადგენდეს ქალის მიმართ ძალადობის ფორმას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მსგავსი დიფერენცირება არ მომხდარა და ახალი ნორმის შემადგენლობა თანაბრად ვრცელდება ყველაზე, როგორც ქალებზე, ისე მამაკაცებზე, რაც პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით, საერთო სასამართლოების პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ადევნების მსხვერპლი ძირითადად ქალია, დამნაშავე კი – კაცი. ხშირად, ქალებზე ადევნება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ასრულებენ მამაკაცთან. მაგალითად, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ქმრისგან წასული მეუღლე უარს ამბობს შერიგებაზე, რა დროსაც ქმარი განუწყვეტლივ იწყებს მის თვალთვალს. სახლიდან გასვლისას თუ სამსახურიდან დაპრუნებისას თან დაჰყვება. სისტემატურად ურეკავს და ლანძღავს. შედეგად კი, დაზარალებული კარგავს ფსიქიკურ სიმშვიდეს და იძულებულია იფიქროს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეც-

<sup>48</sup> ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 22 ივლისის განაჩენისაქმეზე №1/61-2019.

<sup>49</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის განაჩენისაქმეზე №1/5609-18.

ვალზე. სტამბოლის კონვენციის მიხედვით, ამ ტიპის ძალადობა თუ არის ქალის მიმართ მიმართული და უკავშირდება მამაკაცის დომინანტობისა და კონტროლის სურვილს, მაშინ იგი ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული.

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში<sup>50</sup> დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: „გ. მ. მის ყოფილ მეუღლესთან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, სისტემატურად ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას ტელეფონის გამოყენებით და პირადად შეხვედრებით. მუდმივად აკონტროლებდა ნ. ბ-ს ტელეფონში მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს – თუ ვისთან ჰქონდა კომუნიკაცია ნ. ბ-ს, მუდმივად ურეკავდა ტელეფონით და სთხოვდა შერიგებას, თითქმის ყოველდღიურად აკითხავდა სამსახურში, რის გამოც დაზარალებული იძულებული გახდა, თავი დაეწებინა კონკრეტული სამსახურის-თვის, თუმცა გ. მ. კვლავ აკითხავდდა მას ახალ სამსახურში და მუდმივად სთხოვდა შერიგებას. გ. მ. საათობით და სისტემატურად უთვალთვალებდა თბილისში კონკრეტულ მისამართზე მყოფ ნ. ბ-ს და მუდმივად აკონტროლებდა მისი გადაადგილების მარშრუტს – თითქმის ყოველდღიურად ამონმებდა ყოფილი მეუღლის საცხოვრებელი სახლისა და სამსახურის წინ ნ. ბ-ს ავტომობილის არსებობის ფაქტს, რითაც ამონმებდა ნ. ბ-ს სახლსა და სამსახურში ყოფნას, ხოლო შემდეგ ურეკავდა და ამონმებდა, თუ სად იყო იგი. მის მიმართ სისტემატურად ეჭვიანობდა, უბნებოდა, რომ იყო ქალი და ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მას, როგორც მამაკაცს სურდა.“ ცალსახად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივზე მითითების მიუხედავად, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს იხელმძღვანელა არა სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის დამამდიმებელ გარემოებად განიხილავს დანაშაულის ჩადენას გენდერული ნიშნით შეუწყისარებლობისა და დისკრიმინაციის მოტივით, არამედ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გა-

<sup>50</sup> თბილისი საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 ივლისის განაჩენი საქმეზე №1/2453-19.

რემონტად მიიჩნია ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

წინამდებარე საქმისგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას, ყურადღება გაამახვილა დანაშაულის მოტივზე, რაც გამოიხატა სწორედ გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციაში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა და მიიჩნია, რომ „განსახილველ შემთხვევაში აშკარად გამოვლინდა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის მოტივი. გამოიკვეთა ბრალდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრი ქალის მიმართ, იგი მსხვერპლს სოციალური იერარქიით თავისზე დაბლა მდგომ, უუფლებო სუბიექტად განიხილავდა, რომლის ცხოვრების წესის, ჩატვირთვისა და ზოგადად, ცხოვრების მიმართულების და ინტერესების განსაზღვრა, მხოლოდ მას, როგორც ქმარს შეუძლია. სწორედ ამით არის განპირობებული მისი დაუკეტელი სურვილი აკონტროლოს დაზარალებული, განუსაზღვროს ცხოვრების პრიორიტეტი, დაუწესოს სოციალური და ყოფითი შეზღუდვები. დანაშაულის მოტივი მიუთითებს ბრალდებულის განსაკუთრებულ საშიშროებაზე ოჯახის წევრის, ქალი-მეუღლის მიმართ ბრალდებულის მცდარი სტერეოტიპული განწყობები წარმოადგენს სამომავლო საფრთხეებს ოჯახში ძალადობის გაგრძელების კუთხით. ამდენად, სამომავლო რისკების და ჩადენილი დანაშაულის მოტივის საპასუხოდ, მოძალადეს უნდა განესაზღვროს ადეკვატური და კერძო პრევენციის მატარებელი სანქციები.“<sup>51</sup>

## ძმების შემადგენლობა

საკულტურული 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის უფლება, დაცული იყოს სხვა პირთა მხრიდან არასასურველი კომუნიკა-

<sup>51</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენის საქმეზე №1/2005-19.

ციისაგან. უფლება, იცხოვროს მშვიდ გარემოში.

განსახილველი ნორმა წარმოადგენს ერთიან დანაშაულს, როგორც აღტერნატიული ქმედებებით, ისე აღტერნატიული შედეგებით. კერძოდ:

ქმედებები:	შედებები:
<ul style="list-style-type: none"> <li>დაზარალებულის ან მისი ოჯახის წევრის ან დაზარალებულის ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პირის ფსიქიკური ტანჯვა</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვასაშუალებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ყველაფერი ეს კი თავის მხრივ, პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>ან უქმნის მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას.</li> </ul>

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ქმედების შემადგენლობის გაანალიზებისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: „პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვასაშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება... .“ შესაბამისად, განმეორებადობის გარეშე ცალკეული ერთეული ქმედება ვერ მოგვცემს სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარების მიხედვით, სისტემატურობაში

მოიაზრება ქმედების განხორციელება მინიმუმ, სამჯერ დრო-ის მცირე ინტერვალის დაშორებით.<sup>52</sup>

ამასთან, როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ხაზს უსვამს თვალ-თვალის უკანონობას. შესაბამისად, თუ თვალთვალი ხორცი-ელდება კანონით დადგენილ ფარგლებში, ლეგიტიმური მიზ-ნის მისაღწევად, ოფიციალური პირის მიერ, სახეზე არაა ამ და-ნაშაულის შემადგენლობა.

ასევე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: კომუნიკაცია არა-სასურველად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როცა მისი შინაარსი საზოგადოდ, უარყოფითი ემოციის აღმძვრელია (ლანძღვა, გი-ნება, მუქარა, შანტაჟი). შესაბამისად, თუ სისტემატური კომუ-ნიკაცია არ ატარებს ასეთ ხასიათს, ვერ მოგვცემს ამ დანაშაუ-ლის შემადგენლობას. ამიტომ ადევნებად არ დაკვალიფიცირდე-ბა შემთხვევა, როცა პირი თავგამოდებით ცდილობს დაუმტკი-ცოს ქალს, რომ სწორედ იგია „მისი ცხოვრების არსი და მიზანი,“ თუმცა, ამასთან არ იყენებს ზემოხსენებულ ამორალურ ან მარ-თლსაწინააღმდეგო ხერხს. აქედან გამომდინარე, ვერ ჩაითვლე-ბა არასასურველ კომუნიკაციად ისეთი შემთხვევა, როცა მაგა-ლითად, მამაკაცი სისტემატურად უგზავნის ქალს სასიყვარუ-ლო წერილს, სისტემატურად ხვდება მას და უხსნის სიყვარულს, უმტკიცებს, რომ მის გარეშე „სიცოცხლე არ შეუძლია,“ უარის შემთხვევაში თვითმკვლელობით დაამთავრებს ცხოვრებას, ან „გაუსკდება გული“ და სხვა. მიუხედავად იმისა, თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რა გავლენას ახდენდა ქალზე ეს ყვე-ლაფერი (სამოვნებდა იგი მას თუ არა, მნიშვნელოვნად შეცვა-ლა თუ არა ქალმა ცხოვრების წესი, რათა თავი დაელნია ამ მამაკაცისა-გან), ქმედება ადევნებად ვერ დაკვალიფიცირდება. ფაქტია, ამ-გვარი შემთხვევები საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა დგას, რომელიც ამ ორი პირის ურთიერთობის საკითხია და რასაც შე-საძლებელია, მხოლოდ მორალური შეფასება მიეცეს.<sup>53</sup>

<sup>52</sup> ლეველიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I (მეშვიდე გამოცემა), 2019, გვ. 364.

<sup>53</sup> ლეველიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I (მეშვიდე გამოცემა), 2019, გვ. 365.

სწორედ ზემოაღნიშნული საკითხი გახდა მსჯელობის საგანი რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქმედებაზე და ქმედების შესაბამისობაზე დანაშაულის ნიშნებთან. „ბრალდებულის ქმედება, რასაც დაცვის მხარე სიყვარულის გასამართლებას უწოდებს, წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექტით გათვალისწინებულ დანაშაულს, ვინაიდან „სიყვარულის სახელით“ მოქმედება, მაშინ როდესაც აღნიშნული გამოიხატება არასასურველ კომუნიკაციაში და გრძელდება დროის გარკვეულ პერიოდში – შედეგად იწვევს პირის ტანჯვას და ცხოვრების წესის შეცვლას. აღნიშნულში დარწმუნების საფუძვლს სასამართლოს სრულად აძლევს დაზარალებულის ჩვენება და მისი ემოციური მდგომარეობა. დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე, სასამართლო დარწმუნდა, რომ ვ. მ. არ არის დაკავებული ფლირტით და არ აქვს არანაირი სიმპათია ბრალდებულის მიმართ. ბრალდებულის ორაზროვანი მესიჯები, რომელიც თითქოსდა, სიყვარულის გამოხატვასაც გულისხმობს, იმავდროულად თითქოს შეიცავს „დასასრულზე“ მითითებას – „ბედნიერი იყავი, სანამ მიხვდები, მედალს ორი მხარე აქვს,“ რამაც დაზარალებულს აფიქრებინა, რომ მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოებისათვის ერთხელ უკვე მიმართვისა, მისგან მომდინარეობდა საფრთხე და ამ ვითარებამ უფრო გაამძაფრა მის მიმართ ინტერესი, სასამართლო იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ ბრალდებულის ქმედება არ არის ძალადობრივი, თუმცა შედეგის თვალსაზრისით, ვ. მ-ს მიმართ ზ. პ-ს მესიჯები, თვალთვალი, სატელეფონო ზარები, გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის მიუხედავად, დაუინებული მოთხოვნა, რომ სურს მასთან ურთიერთობა, იწვევს პირის ტანჯვას, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შიშს, რაც ამ დანაშაულის შემადგენელი გარემოებებია და კანონმდებელი არ მიუთითებს ძალადობაზე, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხზე.<sup>54</sup>

პირის ფსიქიური ტანჯვა დადგა თუ არა, შესაბამისი ექსპერ-

<sup>54</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/369-18.

ტიზის დასკვნის საფუძველზეა შესაფასებელი. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მის მიერ განხილულ საქმე-ში<sup>55</sup> აღნიშნა, რომ „ადევნება ისეთი ფორმით, ისეთ ვითარებაში და ისეთი პირის მიერ უნდა იყოს განხორციელებული, რომ დაზარალებულს გაუჩნდეს ფსიქიკური ტანჯვის შეგრძნება, რის გამოც დაერლვევა ცხოვრების ჩვეული წესი. სწორედ დაზარალებულის მიერ სახლში ჩაკეტვა და სახლიდან გასვლის შიში, ბოლოს თავშესაფარში წასვლა და იქედან მხოლოდ მას შემდეგ წამოსვლა, რაც ბრალდებული დააკავეს, ასევე საკონტაქტო ნომრის გამოცლა, მიუთითებს ამ უკანასკნელის ცხოვრების წესის შეცვლაზე. რაც შეეხება ფსიქიკურ ტანჯვას, აღნიშნულს სრულად ადასტურებს წარმოდგენილი დასკვნები და ფსიქოლოგთა ჩვენებები.“ კერძოდ, „დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა გამოწვეულია არა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით (რისი მტკიცების მცდელობაც ჰქონდა ბრალდებულს), არამედ ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებებით.“

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ადევნებაში ბრალდებული პირის გამართლების<sup>56</sup> ერთ-ერთი საფუძველი იყო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც მართალია, დადგენილ იქნა, რომ ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ქმედებები შეიცავდა შეურაცხყოფის, დამცირებისა და მუქარის ელემენტებს, თუმცა, კლინიკური გასაუბრებისას მოპოვებული მონაცემებითა და დაზარალებულის ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით, აღნიშნული ქმედებები არ აღწევდა ფსიქოლოგიური ტანჯვის ხარისხს.<sup>57</sup>

ადევნებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, როგორიცაა პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძა-

<sup>55</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის განაჩენი საქმეზე №1-135/19.

<sup>56</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1/286-18.

<sup>57</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის განაჩენი საქმეზე №1ბ-83-2019.

ლადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დადასტურებულად მიიჩნია, რომ დაზარალებულმა მისი ოჯახის წევრის – მამის მიმართ განხორციელებული მუქარა აღიქვა რეალურად და განიცადა ფსიქიკური ტანჯვა. კერძოდ, დაზარალებულის ჩვენებით მსჯავრდებული მას ემუქრებოდა, რომ თუ მამას რამეს ეტყოდა, ამ უკანასკნელს მოკლავდა.<sup>58</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარების მიხედვით, შიშის საფუძვლიანობის დასადგენად სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმებით. ეს ნიშნავს, რომ მუქარის საფუძვლიანობის შესაფასებლად უნდა წარმოიდგინოს ჩვეულებრივი ფსიქიკის ადამიანი (და არა ძალიან მშიშარა ან პირიქით, ძალიან გულადი) და განსაზღვროს ჩათვლიდა თუ არა ასეთი ადამიანი ამ მუქარას რეალურად. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამმუქრებლის პიროვნება (აგრესიული ან წარსულში ნასმართლევი სხვადასხვა დანაშაულისთვის); ურთიერთდამოკიდებულება დამნაშენება და მსხვერპლს შორის; მუქარის გამოხატვის ხერხი; მისი არაერთგზისობა და ა. შ. ხოლო სუბიექტრული კრიტერიუმი ნიშნავს, რომ უნდა დადგინდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაუჩნდა თუ არა დაზარალებულს ასეთი შიში. თუ მას ვისაც ემუქრებოდნენ, ეს შიში არ გასჩენია, დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება ე. ი. მუქარამ რეალურად უნდა დააშინოს, ააფორიაქოს, სიმშვიდე დაურღვიოს მას, ვისაც ემუქრებიან.<sup>59</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენების შესწავლის საფუძველზე არ გამოვლინდა სასამართლოების მხრიდან ფართო მსჯელობა, რა კრიტერიუმების გათვალისწინებით იქნა მიჩნეული დაზარალებულის შიში საფუძვლიანად, თუ არ ჩავთვლით თავად დაზარალებულის ჩვენებაზე მითითებას.

<sup>58</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 თებერვლის განაჩენისაქმეზე №1/2975-18.

<sup>59</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I (მეშვიდე გამოცემა), 2019, გვ. 361.

„თავის მხრივ, ყველაფერი ეს პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს“. აღნიშნულში იგულისხმება შემთხვევა, როცა დაზარალებული იძულებული ხდება, იშვიათად გავიდეს სახლიდან ან გავიდეს მხოლოდ სხვა პირთა თანხლებით, შეცვალოს ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი და ა. შ. მაგალითად, „განხორციელებული ადევნების გამო, მსხვერპლი იძულებული გახდა მნიშვნელოვნად შეცვალა ცხოვრების წესი, სისტემატურად იცვლიდა სახლიდან სკოლაში, ბაღში თუ მაღაზიაში მისასვლელი გზების მარგრუტს, ერიდებოდა ქუჩაში მარტო გასვლას.“<sup>60</sup> თუმცა, ადევნების დასჯადობისთვის არ არის აუცილებელი, მსხვერპლმა ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად შეიცვალოს, რადგან შესაძლებელია ადევნება ისეთი სახის და ინტენსიონის იყოს, რომ მშვიდი ცხოვრების უზრუნველსაყოფად იგი ობიექტურად ქმნიდეს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროებას და ამას გრძნობდეს დაზარალებულიც. მაგალითად, „დაზარალებული ფიქრობს, რომ გაყიდოს მშობლების სახლი, სადაც ცხოვრობს და სხვაგან გადავიდეს საცხოვრებლად.“<sup>61</sup>

ბრალის ფორმის მიხედვით, ერთმნიშვნელოვნად სახეზეა განზრახი დანაშაული, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, დასჯადობისთვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვის არსებობაც. მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დადგენის შემთხვევაში, პრაქტიკაში რთული იქნებოდა ბევრი ქმედების სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით დაკვალიფიცირება, ვინაიდან მაშინ ზუსტად უნდა დადგინდეს, რომ დამნაშავე მაინცდამაინც მსხვერპლის ტანჯვის მიზნით მოქმედებდა. მას შეუძლია ელემენტარულად თქვას, რომ შეყვარებულია და არავის ტანჯვა არ სურდა. ასეთ შემთხვევაში დასჯადობას პრობლემა შეექმნება. სწორედ ამიტომ, დასჯადობისთვის საკმარისი უნდა იყოს პირის მხრიდან იმის დაშვება, რომ მისმა არასასურველმა სისტემატურმა კომუნიკაციამ შეიძლება მეორე პი-

<sup>60</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/2005-19.

<sup>61</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის განაჩენისაქმეზე №1/319-18.

რის წინაშე ცხოვრების წესის შეცვლის საჭიროება დააყენოს, რასაც ის გულგრილად ეკიდება. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ პირი თავისი ქმედების შინაარსს შეცდომის გამო ვერ აცნობი- ერებს და ჰგონია, რომ მეორე პირს ეს ყველაფერი არ ანუხებს, მაშინ სახეზეა შეცდომა, რაც განზრახვას და ავტომატურად დასჯადობასაც გამორიცხავს, ვინაიდან გაუფრთხილებლო- ბით ადევნება არ ისჯება.<sup>62</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების მიხედვით, სუ- ბიექტური მხრივ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებული მნიშვნელობა. თუმცა, იგი შეიძლება იყოს მურისძიება (მაგალითად, იმის გამო, რომ საცოლემ მია- ტოვა და სურს მისი გამნარება), ეჭვიანობა, დაზარალებულ- თან ურთიერთობის აღდგენის მიზანი, დაზარალებულის შემი- ნება და სხვ.<sup>63</sup>

ადევნება ძირითად შემადგენლობასთან ერთად დამამძიმებელ გარემოებებსაც შეიცავს. კერძოდ: სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნა- ნილი ითვალისწინებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, რო- გორიცაა ქმედება ჩადენილი ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; ბ) ჯგუფურად; გ) არაერთგზის; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

კვლევის ფარგლებში შესწოლი განაჩენების თანახმად, მხო- ლოდ ერთ საქმეში იქნა ბრალდებულის ქმედება დაკვალიფი- ცირებული სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნანილით. კერძოდ, მე-2 ნანილის „გ“ ქ/პუნქტით, რაც ითვა- ლისწინებს ქმედების არაერთგზის ჩადენას. წინამდებარე საქ- მის მიხედვით, სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანა- შაული ჩაიდინა ამავე მუხლის 1-ლი ნანილით ნასამართლევმა პირმა, რომელიც გასამართლების მიუხედავად, სისტემატუ-

<sup>62</sup> იხ.: <http://dgstz.de/storage/documents/ZjYYVc0TDluPxUoWaTVvI5X5Ld4GWIpkhzhxHXgp.pdf>

<sup>63</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნანილი, წიგნი I (მეშვიდე გამოცემა), 2019, გვ. 370.

რად ახორციელებდა დაზარალებულთან არასასურველ კომუნიკაციას ტელეფონითა და სოციალური ქსელის – Facebook-ის საშუალებით, ცდილობდა მასთან კონტაქტს, რაც იწვევდა დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვას. როგორც დაზარალებულის ჩვენებით დადგინდა, მან შეიცვალა მობილური ტელეფონის ნომერი, დახმარება სთხოვა არაერთ ნათესავს, ყოველ მის დანახვაზე განიცდიდა შიშს, რომ შესაძლებელია აღეკვეთა მისთვის თავისუფლება (ცოლად შერთვის მიზნით მოეტაცა), ამასთან, ფიქრობს საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, რათა ბრალდებულმა ვერ შეძლოს მისი ნახვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის ქმედებაში სახეზე იყო დანაშაულის – ადევნების შემადგენლობის ყველა ნიშანი, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და ინვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, რაც პირს ცხოვრების წესის შეცვლას აიძულებს და მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს აღნიშნა, რომ „სასჯელი, რომელიც უნდა განესაზღვროს ბრალდებულს, უნდა შეესაბამებოდეს მის პიროვნებას, ჩადენილ ქმედებას და უზრუნველყოფდეს სასჯელის მიზნების მიღწევას. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ერთი მხრივ, არ დაუშვას პირის დასჯა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს იმ პირთა უსაფრთხოებას, რომელთანაც დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგა. სხდომაზე დაზარალებულმა განმარტა, რომ მას პერიოდი პირველი განაჩენის შემდეგ, ზ. პ. გააცნობიერებდა, რომ ქმედება, რასაც ის ჩადის, დანაშაულია და განმეორებით აღარ ჩაიდენდა. თუმცა, ზ. პ-ს მიმართ გამოყენებულმა მსუბუქმა სასჯელმა ცალსახაა, რომ ვერ შეუწყობს ხელი ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და მიუხედავად იმისა, რომ ზ. პ-სთვის ცნობილი იყო, რომ მისი ქმედებით ვ. მ. განიცდიდა ტანჯვას და მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, რამაც დაზარალებული კიდევ უფრო შეაშინა და უფრო სარწმუნო გახადა ზ. პ-გან მომდინარე საფრთხე. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ. პ-ს მიმართ სასჯელი ამჯერად უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ეს

იყო პირველი განაჩენით და აუცილებელია მისი იზოლაცია. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულმა უკეთ გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, დანაშაულის საშიროება და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგი, რის გამართლება-საც დაცვის მხარე „სიყვარულით“ ცდილობს. მითითებული გარემოებები ერთობლიობაში იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სასჯელის მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია ბრალდებულს სასჯელი განესაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლის ნაწილის „გ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. „საბოლოოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ზ. პ. ალიარებს და ინანიებს ბრალად წარდგენილ ქმედებას (თავს დამნაშავედ ცნობდა გამოძიების მიმდინარეობის პერიოდშიც), ამასთან, მის მიერ ჩადენილი ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქ/პუნქტით დანიშნული სასჯელის ნაწილი უნდა განესაზღვროს პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დანიშნული სასჯელის ნახევარი უნდა ჩაეთვალოს პირობითად.<sup>64</sup>

---

<sup>64</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/369-18.

## დასკვნა

საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობაცხადყოფს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ადევნების შემადგენლობის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, ვინაიდან აღნიშვნული საკითხი ფაქტია, რომ არცთუ უმნიშვნელო პრობლემას წარმოადგენს ქართულ საზოგადოებაში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა გავრცელებული ფენომენია, რომელიც მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას, განურჩევლად კლასობრივი, რასობრივი, კულტურული, რელიგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზანიც სწორედ ქალთა უფლებების დაცვა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის კონვენციის მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართალის კოდექსში არსებული ნორმა მხოლოდ ქალებზე არ აკეთებს აქცენტებს და ადევნების შემადგენლობა თანაბრად ვრცელდება ყველაზე, როგორც ქალზე, ისე მამაკაცებზე, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

2017 წლის მაისიდან ადევნება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა და შესაბამისად, კანონმდებლობის მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს. აღნიშვნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ადევნებაზე რეაგირების კუთხით.

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ადევნებაში ბრალდებული პირების მიმართ ძირითად შემთხვევაში დგება გამამტყუნებელი განაჩენი, რაც ნიშნავს, რომ სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტს.

გამამტყუნებელი განაჩენების თანახმად, უმეტეს შემთხვევაში

სასამართლოების მიერ სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ განისაზღვრა სასჯელის სახე – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაითვალა პირობით, შესაბამისი გამოსაცდელი ვადით, რაც ზოგადად, ქვეყანაში არსებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მაჩვენებლის ფონზე და კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, საქმეთა მთლიანი რაოდენობის 25%-ში ფიგურირებდა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ადგენების ფაქტი (კვალიფიკაცია: სსკ-ის 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლი), გარკვეულნილად, შესაძლოა ერთი შეხედვით ტოვებდეს ლმობიერი სანქციის შთაბეჭდილებას, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ საქმეში მოსამართლე დამნაშავის პიროვნების, მისი წარსული ცხოვრების, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით განსაზღვრავს სასჯელს.

წინა წლებისან განსხვავებით, მხოლოდ 2019 წელს იქნა გამოყენებული ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმა ადევნებისთვის, მსჯავრდებული პირების მიმართ.

სასჯელთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის მიხედვით, ადევნებაში მსჯავრდებული პირების მიმართ დამატებითი სასჯელის სახით ყველაზე ხშირად გამოიყენება იარღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა. თუმცა, შესწავლილ განაჩენებში არ იკითხებოდა დამატებითი სასჯელის გამოყენების წინაპირობა.

დადებით ტენდენციად უნდა იქნას მიჩნეული ის გარემოება, რომ სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლით დაკვალიფირებულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება და შემდგომში სასამართლოს მიერ მათი დამტკიცება 2017 წელთან შედარებით საგრძნობლად არის შემცირებული 2018-2019 წლებში, საქმეთა მთლიანი რაოდენობის გათვალისწინებით.

სასჯელის დანიშვნის დროს, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დამნაშავის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუ-

ქებელ, ისე დამამდიმებელ გარემოებებზე. მაგალითად, რიგ შემთხვევებში, სასამართლო აპელირებას ახდენს პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში ჩადენილ ახალ დანაშაულზე ან ბრალდებულის წინააღმდეგ არსებულ შემაკავებელ ორდერზე.<sup>65</sup>

ლოგიკურია, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით, ადევნების მსხვერპლი ძირითადად ქალია, დამნაშავე კი – კაცი. ხშირად, ქალებზე ადევნება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ასრულებენ მამაკაცებთან. სტამბოლის კონვენციის მიხედვით, თუ ამ ტიპის ძალადობა უკავშირდება მამაკაცის დომინანტობისა და კონტროლის სურვილს ქალზე, მაშინ იგი ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული. თუმცა, ეროვნულმა სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ერთგვაროვანი მიდგომა არ არის, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ცალსახად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივზე მითითების მიუხედავად, სასამართლო სასჯელის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს არა სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის დამამდიმებელ გარემოებად განიხილავს დანაშაულის ჩადენას გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მოტივით, არამედ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნია ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ.<sup>66</sup>

რაც შეეხება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებს, აღსანიშნავია, რომ ორივე სააპელაციო სასამართლომ ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა, უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენები. აღნიშნულ ერთ საქმეში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის სააპელა-

<sup>65</sup> ზესტატონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 22 ივლისის განაჩენისაქმეზე №1/61-2019

და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის განაჩენისაქმეზე №1/5609-18.

<sup>66</sup> თბილისი საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 ივლისის განაჩენისაქმეზე №1/2453-19.

ციონ საჩივარი მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის დამძიმების საკითხი.<sup>67</sup>

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენები ცხადყოფს, რომ ეროვნული სასამართლოები ყველაზე ხშირად გადაწყვეტილებებში დასაბუთების ნაწილში მოიხმობენ ადა-მიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სა-მართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) გათვალისწი-ნებულ გარანტიებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამარ-თლოს შესაბამის პრეცედენტულ საქმეებს. რაც შეეხება სტამ-ბოლის კონვენციის დებულებების განაჩენებში ასახვის პრაქ-ტიკას, ამ მხრივ მაჩვენებელი დაბალია, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მაჩვენებლის ზრდის კონტექსტში, 2019 წელს შეი-ნიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციებიც.

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმის გათვალისწინე-ბით, რომ ადევნება, როგორც სისხლისამართლებრივი დანა-შაული საქართველოს კანონმდებლობისთვის სიახლეს წარმო-ადგენს, სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნება პოზიტიური მიგნებები, ხოლო კვლევაში იდენტიფიცირებული ხარვეზების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ამგვარი ტიპის დანაშაულებზე სამართალწარმოების სრულყოფას.

საქმეთა შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, რეკომენ-დებულია ეროვნულმა სასამართლოებმა ადევნების შესახებ საქმეთა განხილვისას მხედველობაში მიიღონ სტამბოლის კონ-ვენციის 34-ე (ადევნება), 46-ე (დამამძიმებელი გარემოებები) და 45-ე (სანქციები და ზომები) მუხლებით გათვალისწინებუ-ლი სტანდარტები, რის შედეგადაც უზრუნველყონ ამგვარი კა-ტიკორიის დანაშაულებზე ეფექტიანი თანაზომიერი და გადა-მარწმუნებელი გავლენის მქონე სანქციების შეფარდება და ამ კუთხით მიზანშეწონილია გაიზარდოს სატრენინგო აქტივო-ბები მოსამართლეებისა და თანაშემწევებისთვის, რაც ხელს შე-უწყობს სტამბოლის კონვენციის შესაბამისი დებულებების იმ-პლემენტაციას სასამართლო სრაქტიკაში.

<sup>67</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე №1ბ/1372-19.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 82 08  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)